როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდ

სალიტერატურო გაზეთი

№ 3 | საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი | № 3

თებერვლის 11 1932 წ.

შემოქმედებითი დისკუსიისათვის

საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის გამგეობის უკანასკნელმა პლენუმმა შემოქმედებითი დისკუსიის ფართოდ გაშლა ყველა ჩვენი ლიტერატურული ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახა.

ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის მეთოდები და შინაარსი იმგვარად უნდა გარდაიქმნას, რომ თითოეული მათგანი გადაიქცეს საწარმოო — შემოქმედებით კოლექტივად. მუშაობის ასეთი რადიკალური გადახალისება უზრუნველყოფს მწერალთა შემოქმედებითი მუშაობის ნორმალურ პირობებს, ჩააბავს მათ ორგანიულად ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში.

საწარმოო-შემოქმედებითი საკითხებისადმი ლიტერატურული ორგანიზაციების ყურადღების გამახვილება ცხადია იმას არ ნიშნავს, რომ ოდნავადაც შესუსტდეს ბრძოლა ლიტერატურაში პროლეტარიატისადმი კლასიურად მტრულ ძალებისადმი და ტენდენციებისადმი. პირიქით, მუშაობის საწარმოო - შემოქმედებითი გარდაქმნა შესაძლებელს გახდის უფრო სწრაფი ტემპით ვამხილოთ ბურჟუაზიულ - კულაკური ელემენტები. ამავე დროს საჭიროა მწვავედ დავარტყათ დამპალ „ლიტერატურშჩინას“, რომელიც წარმოადგენს ბურჟუაზიული ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას. ლიტერატურულ ორგანიზაციების შემოქმედებითი საკითხებისადმი შემობრუნება გულისხმობს მათ საზოგადოებრივი პოლიტიკური როლის გაძლიერებას.

შემოქმედებითი საკითხებისადმი მთავარი ყურადღების მიქცევა, შემოქმედებითი შეჯიბრისა და დათვალიერების გაშლა, გაღრმავება შემოქმედებითი დისკუსიის, აი ის ამოცანები, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ უახლოეს დროში. ცხადია, რომ მთელი ეს მუშაობა უნდა წარიმართოს იმ ლიტერატურულ - პოლიტიკური ხაზის საფუძველზე, რომელსაც ატარებს საბჭოთა ლიტერატურის წამყვანი რაზმი — პროლეტარული მწერლობა.

შემოქმედებითი დისკუსიის ძირითად მომენტს წარმოადგენს ბრძოლა დიალექტიურ - მატერიალისტურ მხატვრული მეთოდის დაუფლებისათვის. შემოქმედებითი დისკუსია მოითხოვს ყველა ჩვენ მწერალთა გამოცხადების უფრო მაღალ თეორიულ განზოგადოებას. ამის გარეშე შეუძლებელია იგი გადაიქცეს მწერალთა აღზრდის სისტემად.

შემოქმედებითი დისკუსია უკვე დაიწყო საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ხაზით. შემოწმებული იქნა საერთოდ განვლილი გზა, ჩატარებული მუშაობა, მიღწევები და ნაკლოვანებანი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის მუშაობის გარდაქმნა ჯერ კიდევ მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. არ სდგას სათანადო სიმაღლეზე იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა საბჭოთა მწერლებს შორის. შემოქმედებითი საკითხები ჯერ კიდევ არ დასმულა ფედერაციის მუშაობის ყურადღების ცენტრში.

საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის გაახლებულმა ხელმძღვანელობამ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. დაწყებულმა შემოქმედებითი დისკუსიამ უნდა დააჩქაროს საბჭ. მწერლების ფედერაციის საწარმოო-შემოქმედებითი გარდაქმნა, მისი საზოგადოებრივ — პოლიტიკური როლის გაძლიერება.

შემოქმედებით დისკუსიამ ცხადყო, რომ გაღრმავდა დიფერენციაცია თანამგზავრთა ბანაკში. ეს დიფერენციაცია მიმდინარეობს გამწვავებულ კლასიური ბრძოლის პირობებში. გააქტივდენ რეაქციულ — ბურჟუაზიული ელემენტები მეორეს მხრივ თანამგზავრთა ძირითადი კადრების საგრძნობი ნაწილი რაციონალურად შემობრუნდა პროლეტარიატისაკენ. ისინი ხდებიან სოციალიზმის მშენებელ მუშათა კლასის ლიტერატურულ მოკავშირეებად. აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა ლიტერატურული პროდუქცია იდეურ-მხატვრულად გაიზარდა. თანამგზავრთა რეაქციული ფრთის შემოქმედება კი იდეურ - მხატვრული სილატაკით, გადაგვარებით ხასიათდება.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თანამგზავრთა ძირითადი კადრების საგრძნობი ნაწილის შემობრუნება პროლეტარიატისაკენ იმას არ ნიშნავს, რომ ეს შემობრუნება მოახდინა **მთელ** თანამგზავრობამ.

გადაჭრით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ყოველგვარი სახის ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ გავლენებთან ლიტერატურაში.

თანამგზავრთა და მოკავშირეთა უდიდესი გარდაქმნა ლენინიზმის გზით, მათი აქტიური ჩაბმა გაშლილ სოციალისტურ მშენებლობაში, აი ის გზა, რომლის მიხედვითაც უნდა გაიშალოს საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის მუშაობა.

ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერებით, მენშევიკური იდეალიზმის, კონტრრევოლიუციური ტროცკიზმის, ფედერალიზმის რეციდივების დაუნდობელი მხილებით ჩვენ შევსძლებთ პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობა ავიყვანოთ მისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ლენინური თეორიის თვალსაზრისით უნდა იქნას გადასინჯული და გაკრიტიკებული პლეხანოვის შეხედულებანი ხელოვნებაზე.

გასულ 1931 წ. ჩვენ უკვე დავასრულეთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენება. ეხლა-ხან დამთავრებულმა მე17 პარტ-კონფერენციამ დასახა ხუთწლედის უკანასკნელი წლის მუშაობის პროგრამა მრეწველობის ხაზით და ძირითადი დირექტივები მეორე ხუთწლედის შესადგენად.

დასახულია გაშლილი სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გზები. პრაქტიკულადაა დასმული ამოცანა კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასების ლიკვიდაციისა, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების.

სოციალიზმის ძლევა-მოსილი მსვლელობა ჩვენს ქვეყანაში, მოითხოვს ჩვენი მწერლებისაგან მაღალ ხარისხოვან, იდეურად - გამახვილებულ ნაწარმოებებს.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბიუროს მუშაობის შესახებ

5 თებერვალს შესდგა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბიუ- ო. გაფართოებული სხდომა.

მოსმენილ იქნა ამხ. შ. რადიანის მოხ- ება ბიუროს მუშაობის გეგმის შესახებ.

ალი გეგმის მიხედვით, პროლეტარულ ალთა ასოციაცია თავისი მუშაობის ერი გადააქცევს შემოქმედებითი საწა- საკითხებზე.

რის სხდომებზე, რომელიც უნდა შე- ყოველ ათდღეში ერთხელ—მოსმე- იქნება მოხსენებები და ინფორმაციე- როლეტარულ მწერლობის შემოქმე- ი მუშაობის შესახებ, დამუშავებული ა მარქს-ენგელს-ლენინის მემკვიდრე- დაუფლების საკითხები; ჩატარებული ა მთელი წყება მოხსენებებისა—თემა- „სტალინის წერილი და ლიტერატურის ნტი“.

ბიუროს სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვა- ადგილი აქვს დათმობილი ხელოვნების დასხვა დარგებთან კავშირის გაძლიერ- ას.

ახლობელ ხანში უნდა ჩატარდეს პრო- ტარულ პოეზიის, პროზის, დრამატურ- ს, კრიტიკის და მეთოდოლოგიის საწა- ო თათბირები.

სისტემატიურად გაიგზავნება ბრიგადები წარმოებებში და კოლმეურნეობებში.

ბიურომ დაამტკიცა ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობის“ რედაქციის სამუშაო გეგმა.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. პ. ჩიქვაძის ინფორმაციული მოხსენება შემოქმედებითი ჯგუფების შესახებ.

შემოქმედებითი ჯგუფები არსდება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზის ნიადაგზე და ატარებს წმინდა შემოქმედების ხასიათს.

ჯგუფებს შეუძლიათ გაერთიანდენ ყოველგვარ ოფიციალურ პლატფორმებისა და დეკლარაციების გარეშე. ჯგუფებს უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ასოციაციის სამდივნო, ეხმარება მათ ალმანახების გამოცემაში და სხვ.

შემოქმედებითი ჯგუფების არსებობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაპირისპირებულ იქნას ასოციაციის ხელმძღვანელობასთან. ფრაქციულობის რაიმე ნიშნის გამომჟღავნებისთანავე ჯგუფი იშლება, როგორც შემოქმედებითი საწარმოო ერთეული.

შემოქმედებითი ჯგუფები თანაბარი უფლებით სარგებლობენ ასოციაციაში.

ფართოდ გავშალოთ შემოქმედებითი დისკუსია საბჭოთა მწერლობაში

ამხ. შ. რადიანის მოხსენება თემაზე „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“

საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციამ თავის უკანასკნელ (მეშვიდე) პლენუმზე ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო ლოზუნგად წამოაყენა ასოციაციის და საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობის მუშაობის გარდაქმნა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თაოსნობით საბჭოთა მწერლობის ფედერაციამ უკვე გადასდგა პირველი ნაბიჯი პლენუმის ამ დადგენილების შესასრულებლად.

ა. წ. თებერვლის პირველიდან ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში მიმდინარეობდა გაცხოველებული დისკუსია თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. დისკუსია გაგრძელდა ხუთ დღეს.

ის ინტერესი, რომელიც დისკუსიაში აღძრულმა საკითხებმა გამოიწვია, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბჭოთა მწერლობის შემობრუნება თავის მუშაობის გარდაქმნის ამოცანისაკენ უკვე ფაქტია.

დისკუსია დაიწყო ამხ. **შ. რადიანის** მოხსენებით თემაზე: „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“. ამხ. რადიანმა თავის ძირითად თემას წინ წაუმძღვარა რამოდენიმე შენიშვნა შემოქმედებითი დისკუსიის მნიშვნელობაზე.

— შემოქმედებითი დისკუსია,—განაცხადა მომხსენებელმა,—უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს თანამგზავრების გარდაქმნის საქმეში. დისკუსიამ ერთგვარი გამოცდა, ერთგვარი შემოწმება უნდა მოახდინოს თანამგზავრულ და მოკავშირულ ლიტერატურის; მან უნდა გაგვითვალისწინოს, თუ როგორია მისი თანამედროვე მდგომარეობა, რა ხასიათისაა და რა გზით მიიმართება მისი განვითარება, რა ნაბიჯი უნდა გადავდგათ, რომ დავაჩქაროთ თანამგზავრობის შემდგომი გარდაქმნა, რომ მისი საუკეთესო ძირითადი ნაწილი გახდეს პროლეტარიატის მოკავშირეთ და შემდეგ სავსებით შეეზარდოს პროლეტარულ მწერლობას.

ამ ფუნქციას შემოქმედებითი დისკუსია შეასრულებს მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, თუ იგი აყვანილი იქნება პრინციპიალურ სიმაღლეზე, არ შემოიფარგლება წვრილმანებით, მეორე ხარისხოვან საკითხებით, და მეორე მხრით იგი არ მოექცევა განყენებული აბსტრაქტული მსჯელობის ჩარჩოებში, ეს მოხდება მაშინ, თუ მწერლები კონკრეტული მასალის მიხედვით, პირდაპირ, მკაფიოდ და პოლიტიკური სიმახვილით ილაპარაკებენ არა მარტო მოხსენებაში აღძრულ საერთო პრობლემებზე, არამედ თავის საკუთარ თავზე, თავისი შემოქმედების დადებით და უარყოფით მხარეებზე, თავის მიღწევებსა და ჩავარდნებზე. სიჩუმე და დადუმება, პირში წყლის ჩაგუბება იქნება განზრახ ზურგის შებრუნება მწერლობის თანამედროვე აქტუალური საკითხებისათვის, რაც დღევანდელ მომენტში დანაშაულს უდრის.

დაცული იქნა თუ არა ეს წინასწარი პირობები, რომლებიც აუცილებლად ჩასთვალა მომხსენებელმა დისკუსიის წარმატებისათვის?

ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა თავის საბოლოო სიტყვაში თვით მომხსენებელმა და შემდეგ ამხ. **პ. ჩიქვაძემ**, რომელმაც შეაჯამა დისკუსიის შედეგები.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა თაობის მწერლების წარმომადგენლებმა—პროლეტმწერლებმა, მოკავშირეებმა, თანამგზავრებმა და არა თანამგზავრებმა, თუმცა ზოგიერთმა მწერალმა, რომელთა გამოსვლა საჭირო იყო,—მომხსენებლის გამოთქმა რომ ვიხმაროთ,—პირში წყლის ჩაგუბება არჩია. (მაგალითად ამხ. **მიწიშვილმა, შანშიაშვილმა, ქუმბაძემ** და სხვ.).

ზოგიერთი მწერლის განზე დადგომა დისკუსიიდან ოდნავადაც არ ჩრდილავს იმ ეფექტს, რომელიც მას მოჰყვა. დისკუსიის უდიდესი ნაყოფი ის არის, რომ მან საბჭოთა საზოგადოებრიობას მისცა მდიდარი მასალა გარკვეული მკაფიო დასკვნების გამოსატანად. ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ კამათში გამოსულმა მწერლებმა (მცირე გამოკლებით) დისკუსია აიყვანეს პრინციპიალურ აზრთა გაცვლა-გამოცვლის სიმაღლეზე. თავის მსჯელობას საფუძვლად დაუდევს საკუთარი შემოქმედების და სხვების მოურიდებელი კრიტიკა.

დისკუსიამ ცხადჰყო დიფერენციაციის გაღრმავების ფაქტი საქართველოს საბჭოთა მწერლობაში.

ეს ფაქტი გამომჟღავნდა არა მარტო იმ ანალიზში, რომელიც მომხსენებელმა და დისკუსიის მონაწილეებმა გაუკეთეს უკანასკნელი წლების ლიტერატურულ მასალას, არამედ იმ თვალსაზრისის სხვადასხვაობამაც, რომლითაც ორატორები მიუდგენ დისკუსიის ძირითად თემას—თანამგზავრობისა და მოკავშირეობის პრობლემას.

გამოირკვა ორი ერთი მეორესადმი დიამეტრალურად დაპირდაპირებული თვალსაზრისი, ორატორების დიდმა ნაწილმა (**რ. გვეტაძემ, ალ. არსენიშვილმა, ლ. ასათიანმა, ბ. ჟღენტმა, ს. ჩიქოვანმა, კ. ლორთქიფანიძემ, კ. მელაძემ, ი. აბაშიძემ, ი. მოსაშვილმა, დ. ბენაშვილმა**) და დანარჩენმა პროლეტარულმა მწერლებმა ძირითადად გაიზიარეს შეავსეს და ახალი ფაქტებით დაასაბუთეს მომხსენებლის თეზისები, რომელიც შემდეგ ძირითად დებულებებს შეიცავენ:

რევოლიუციის პირველ პერიოდში თანამგზავრობა ჩვენში უფრო დეკლარატიული ხასიათის იყო. იწერებოდა მრავალი რეზოლიუციები და დეკლარაციები, მაგრამ მეტწილად არ ხდებოდა მათი განადგება მხატვრულ შემოქმედებითი პრაქტიკით. რეკონსტრუქციის პერიოდში გაშლილმა სოციალისტურმა შეტევამ ყველა ფრონტებზე და გამწვავებულმა კლასიურმა ბრძოლამ გამოიწვია მკვეთრი ღრმა დიფერენციაცია თანამგზავრობაში. თანამგზავრობის ნაწილი თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით წავიდა მარჯვნივ რეაქციისაკენ, თანამგზავრთა ძირითადი კადრები საგრძნობი ნაწილი უფრო მიუახლოვდა პროლეტარულ რევოლიუციას. განმტკიცდა ლიტერატურული მოკავშირეობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანამგზავრთა ძირითადი კადრების საგრძნობი ნაწილის შემობრუნება პროლეტარიატისაკენ იმას არ ნიშნავს, რომ ეს შემობრუნება მოახდინა მთელ თანამგზავრობამ.

პროლეტარიატისაკენ დაძრულ მწერლობის წინაშე ამჟამად ძირითად ამოცანად სდგას გაბედულად გადააფასონ თავისი წარსული, მოიშორონ თანამედროვეობისათვის მიუღებელი წარსულის სიმძიმე (ინდივიდუალიზმი, ესტეტიზმი, ფორმალიზმი, ჰუმანიზმი და სხვა) და დაეუფლონ დიალექტიურ-მატერიალისტურ შემოქმედებით მეთოდს, **მარქსის, ენგელსის და ლენინის** მეთოდის მომარჯვება მწერლობას საშუალებას მისცემს [illegible] წინააღმდეგობათა სირთულეში, გამოამჟღავნოს სინამდვილის ტენდენციები, გამოაშკარავოს სხვადასხვა კლასიურ სოციალურ ფენების ფსიხოლოგია.

მწერლობის შემოქმედებით გარდაქმნა არ უნდა შემოიფარგლოს თემატიკის გამოცვლით, რადგან თემატიკა თავის თავად არ სწყვეტს მხატვრული ნაწარმოების აქტუალობის საკითხს და მაშასადამე თანამგზავრობა მოკავშირეობის პრობლემას.

თანამგზავრებისა და მოკავშირეებისათვის ძირითად ლოზუნგს მიმდინარე ეტაპზე უნდა წარმოადგენდეს ბრძოლა ისეთი ლიტერატურისათვის, რომელიც გამსჭვალული იქნება სოციალიზმის იდეებით და რომელიც დახმარებას გაუწევს პროლეტარიატს და კოლმეურნე გლეხობას სოციალიზმის მშენებლობაში.

მაგრამ შესაძლებელია თუ არა სხვა სოციალური წრიდან გამოსული მწერლის ასეთი გარდაქმნა—მისი გადასვლა პროლეტარიატის თვალსაზრისზე. წინააღმდეგ მენშევიკ პერევერზევის შეხედულებისა, ეს გარდაქმნა სავსებით შესაძლებელია. ამას ადასტურებს უკანასკნელი წლების მხატვრული შემოქმედების პრაქტიკა (მაიაკოვსკი, ბეხერი, გ. ქუჩიშვილის და სხვების მაგალითი), მაგრამ გარდაქმნა არ არის ადვილი საქმე, იგი მძიმე და რთული პროცესია. აუცილებელია უშუალო მონაწილეობა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში და მუდმივი ყოველდღიური მუშაობა მარქსისტულ ლენინური მსოფლმხედველობის შესათვისებლად. ეს ერთად-ერთი პირობაა იმისათვის, რომ მწერალმა მოგვცეს მაღალი ხარისხის მხატვრული პროდუქცია სოციალიზმის მშენებელ მასების მისაღები.

ამ პირობის დაცვის გარეშე ჩვენ გვექნება არა თანამგზავრობა, არა მოკავშირეობა არამედ მიტმასნების ტენდენციები, რევოლიუციონური ფრაზეოლოგია და წითელი ხალტურა.

ასეთია სქემატიურად მომხსენებლის ის დებულებები, რომლებიც გაიზიარეს და ჩვენი ლიტერატურის სინამდვილიდან მოყვანილი კონკრეტული ფაქტებით დაასაბუთეს თვით მომხსენებელმა და მწერლების ზემოხსენებულმა ჯგუფმა.

სრულიად საწინააღმდეგო აშკარა იდეალისტური თვალსაზრისის გატარება სცადეს მწერლების მემარჯვენე ჯგუფმა **მ. ჯავახიშვილის და დ. მეგრელის მეთაურობით**, მეორე მათგანი იმდენად შორს წავიდა, რომ უარჰყო თანამგზავრობის და მოკავშირეობის არსებობა საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში. დ. მეგრელის დასკვნით საქართველოს სოციალურ ეკონომიური პირობები ისეთია, რომ აქ არ შეიძლება იყოს მწერლობის დიფერენციაცია, თითქოს ჩვენში არსებობს ერთი მთლიანი განუყოფელი მწერლობა. თანამგზავრობისა და მოკავშირეობის საკითხი თითქოს ყურით მოთრეულია, ხელოვნურად გამოტანილია ჩვენში. თუ კი რაიმე განსხვავება არსებობს მწერლებს შორის, ეს არის განსხვავება მათი წერის მანერაში და არა მსოფლმხედველობაში. უფრო მეტი: დ. მეგრელის დასკვნით თანამგზავრობა საეჭვოა თვით რუსეთის მწერლობაში, თითქოს მაიაკოვსკი სიკვდილამდე დარჩა იმად, როგორიც იყო თავის შემოქმედების პირველ პერიოდში. თითქოს იდეურად არავითარი ცვლილება არ განუცდია მ. შაგინიანს, რომლის „ჰიდრო ცენტრალი“ დაახლოებით ისეთივე ნაწარმოებია, როგორც ე. ზოლას „მაღაროებში“.

თუმც არა პირდაპირ მაგრამ თანამგზავრობის ფაქტის უარყოფას შეეცადა **მ. ჯავახიშვილიც**. მისი აზრით, მწერლისათვის, მხატვრისათვის სავალდებულო არ არის მსოფლმხედველობა, გარკვეული მეთოდი შემოქმედებაში. დიდ კლასიკოსებს მაგალითად პუშკინს, ჯავახიშვილის შეხედულებით, მეთოდი არ ჰქონია. ასეთი რამ არ ჰქონია არც ანატოლ ფრანსს, არც ილ. ჭავჭავაძეს. თავისი პოლიტიკური მრწამსით ანატოლ ფრანსი სოციალისტებს თანაუგრძნობდა, მაგრამ თავისი მხატვრული შემოქმედების თემად ღებულობდა კლერიკალურ წრეს, ბერმონაზონებს, რომელთა ცხოვრებას აშკარა სიმპატიით გადმოგვცემდა. ჭავჭავაძე, რომელიც პოლიტიკური შეხედულებით კონსერვატორი იყო, იძლეოდა რევოლიუციონურ მხატვრულ პროდუქციას.

აქედან დასკვნა: მსოფლმხედველობას მხატვრული შემოქმედებისათვის მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია ნიჭი, მხატვრული ათვისების ალღო, ინტუიცია. ეს განსაზღვრავს მწერლის და მისი პრაქტიკის მხატვრულ ღირებულებას და არა მსოფლმხედველობა და იდეოლოგია. მაშასადამე მწერლობის განაწილება, დაჯგუფება იმის მიხედვით თუ რა პოლიტიკურ იდეოლოგიურ მსოფლმხედველობის არიან ისინი, მიუღებელია, მაშასადამე არ შეიძლება მწერლობის დაყოფა თანამგზავრებად, არა თანამგზავრებად და მოკავშირებად, არიან ნიჭიერი და უნიჭო მწერლები.

აგრეთვე არა სწორი და ორაზროვანი იყო **ტ. ტაბიძის** გამოსვლა.

პერევერზევის პირწმინდა პოზიციებიდან შეუტია მომხსენებლის მთავარ დებულებას მწერლობის დიფერენციაციის და თანამგზავრ-მოკავშირეების არსებობას ამხ. **შავგულიძემ**, რომელმაც ხელაღებით უარჰყო თანამგზავრობისა და მოკავშირეობის არსებობის ფაქტი საქართველოს ლიტერატურულ სინამდვილეში. ამხ. შავგულიძის პოლიტიკურად შემცდარ მოსაზრებებს სათანადო პასუხი გასცა მომხსენებელმა.

დ. მეგრელის და მ. ჯავახიშვილის დახავსებული აშკარა იდეალისტური თვალსაზრისი და აგრეთვე ამხ. შავგულიძის უხეში შეცდომები მთლიანად გაბათილებულ იქნა ჯერ კიდევ კამათში გამოსულ თანამგზავრ, მოკავშირე და პროლეტმწერლების და დასასრულ მომხსენებლისა და ამხ. **პ. ჩიქვაძის** მიერ, რომლებმაც ცხადჰყვეს ჯავახიშვილ-დ. მეგრელის რეაქციონური დებულებების სრული უაზრობა და ამხ. შავგულიძის შეხედულების პერევერზიანული ხასიათი.

კინემატოგრაფიის პარტიულობისათვის

წლების განმავლობაში, საქართველოს სახკინმრეწვს და საზოგადოთ ქართულ კინემოტოგრაფიას ბურჟუაზიული ეგზოტიკა და მეშჩანური რომანტიზმი ახასიათებდა. ამ ტენდენციებმა თავისი „მეთოდოლოგია“ ფორმალიზმსა და „ხანჟონკოვის ოქროს სერიის“ ტრადიციებში იპოვეს, მაშინდელი ეკრანი ბურჟუაზიულ მსოფლშეგრძნობის და ყოველგვარი (თუნდაც „კლასიკურიც“) ხალტურის ერთგული გამტარი იყო. ეს გარემოება იყო ქართული კინემოტოგრაფიის ძირითადი, დამახასიათებელი და წამყვანი, მაგრამ ამ მდგომარეობის ფარგლებში იზრდებოდენ ახალი ძალები, რომლებიც შესაძლებლობიდან სინამდვილეთ ქცევის შემდეგ მოწოდებულნი იყვნენ ბოლოთ მოეღოთ კინემატოგრაფიის ბურჟუაზიულ და მეშჩანურ პროფანაციისათვის, მაგრამ ახალი ძალების მოსვლამ (მ. ჭიაურელი, ლ. ესაკია, ნ. გოგობერიძე, კალატოზიშვილი, რონდელი, დოლიძე და სხვ.), მართალია გადაახალისა შემოქმედებითი ატმოსფერა, შესცვალა შემოქმედებითი ორიენტაცია, მაგრამ ამისდამიუხედავად, მან მაინც მთლიანად ვერ შეძლო შეეჩერებია ფორმალიზმისა და გაუბრალოების ინერცია და მით ძირშივე აღეკვეთა აქედან გამომდინარე რეციდივები. კლასთა ბრძოლა კინემოტოგრაფიაში ამ დროს ღებულობს უფრო სხვა ფორმას; კლასიური მტერი აქ გამოდის თითქო ნიღაბჩამოფარებული: ის „ეგუება“ სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნილებებს, ის აქტუალურ თემატიკას „მოშვერია“ (სიკ.), ის მზათაა „დიალექტიური ტრაქტორიც“ აჩვენოს მაყურებელს: ერთი სიტყვით, დიალექტიური ტერმინოლოგიით თამაშობა, მაგრამ ამავე დროს სოციალისტური მშენებლობის მშრალი და უსიცოცხლო სქემათ წარმოდგენა, სოციალისტური სინამდვილის მექანისტური დაშტამპვა და ფსიქოლოგიური რეკონსტრუქციის გაუბრალოების და გამარტივებულ სახეებში მოცემა — აი კლასიური მტრის აგენტის პროფილი საბჭოთა კინემოტოგრაფიაში. დაუნდობელი ბრძოლა ყველა ამ ტენდენციებისა და რეციდივების წინაღმდეგ ერთადერთი გზაა, რომ საბჭოთა კინემოტოგრაფია გამოვიდეს პროლეტარული კულტურის დიად გზაზე, სადაც ის შესძლებს სოციალისტურ მშენებლობის მოთხოვნილებათა აქტიურ დაკმაყოფილებას პარტიული და მასიური ფილმის შემოქმედებითი მშენებლობით.

პარტიული ფილმის შექმნა შეუძლებელია, თუ საქ. კინომრეწველობამ არ შესცვალა თავის მუშაობის მეთოდები და სამხატვრო კადრები არ შეიარაღდნენ მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობრივი იარაღით. დღეს აღარ კმარა მარტო პოლიტცოდნის მარაგი: ყოველი კონკრეტი ფაქტი უნდა თეორეტიულად განზოგადდეს, ყოველ ემპირულ მოვლენაში უნდა ვიპოვოთ ელემენტები ახალი ქვალიტატის შექმნისათვის, სინამდვილე უნდა გაიშალოს მისი ძლევის ასპექტში, მოვლენა უნდა ათვისებული იქნას შესაძლებლობის და სინამდვილის ბრძოლის და ამ ბრძოლის მოხსნის პერსპექტივაში, — მხოლოდ ამ გზით შესძლებს საბჭოთა სცენარისტი და რეჟისორი გახდეს პროლეტარული კინემოტოგრაფიის ენტუზიასტი და სოციალიზმის მშენებლობის კინო-დამკვრელი. ეს კი თხოულობს სამხატვრო კადრების მსოფლმხედველობით გარდაქმნას და დიალექტიური მეთოდოლოგიის დაუფლებას.

არა ერთხ. აღინიშნა, რომ რეჟ. გელოვა- ლეტარსკაია რევოლიუცია“-ში) მოცემულ მეთოდოლოგიურ მითითებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე კინემოტოგრაფიისათვის: კინემოტოგრაფიაში საკმაო დოზით შეგვიძლია ვიპოვოთ ტროცკისტული, ნახევრად ტროცკისტული და მენშევიკური — იდეალიზმის კონტრაბანდა. რასაკვირველია, აქ ამ კონტრაბანდას თავისი სპეციფიური ფორმა გააჩნია, მაგრამ რა გინდ „სპეციფიური“ არ იყოს კონტრაბანდის ფორმები, მასში მოცემული იდეოლოგიური განწყობა ცხადი და ნათელია.

არა ერთხელ აღინიშნა, რომ გელოვანის მიერ ტფილისის ეგზოტიურობის ათვისებამ („კავკასიელი ყაჩაღი“) შექმნა ფილმი, რომელშიაც მოცემულია აპოლოგია იმ მეთოდების, რომლებითაც უდგება დიდმპყრობელი ნაციონალისტი განაპირა ქვეყნებს. მაგრამ აქ ის გარემოებაცაა ხაზგასასმელი, რომ დიდმპყრობელურ „ხედვასთან“ ერთად მოცემულია რეტროსპექცია რომანტიულ სიყვარულისა ძველ საქართველოზე. სურათ „დამკვრელებში“ რეჟ. გელოვანმა აშკარა ტროცკისტული შეცდომები დაუშვა. კიდევ მეტი, სცენარისტის შეცდომები რეჟისორმა უფრო გააფართოვა და გააღრმავა. გელოვანი ერთხელაც არ ცდილა გამოემჟღავნებინა თვისი შეცდომები და ის სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინა.

ვულგარულ გამარტივების გზით მიდის რეჟ **მაკაროვი**, რომელსაც ეშინია ახალ თემატიკასთან მისვლა და ამავე დროს არც აქვს სურვილი თავის კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მ. კალატოზიშვილმა განვლო ფორმალისტური სკოლა, მაგრამ მისი გავლენიდან ჯერ კიდევ სავსებით ვერ განთავისუფლდა. მისი „ჯიმ-შვანტე“ ამის ცოცხალი საბუთია. კალატოზიშვილმა ახალ სურათში — „ქვეყანა განსაცდელში“ — პირველად სცადა ფაბულარული სურათის გაკეთება ძლიერი რიტმის ხაზებში. ეს ცდა უფრო მეტ ნაყოფს მოიტანდა, რომ სცენარიული მასალა პრინციპიალურად სწორად ყოფილიყო დალაგებული.

დაახლოებით ანალოგიურ ევოლიუციას განიცდის **ს. დოლიძის** შემოქმედება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ფორმალისტურ ტენდენციებთან ერთად, მის სურათში „Встране обвалов“ გაუბრალოების რეციდივებსაც აქვთ ადგილი.

ამხ. **დ. რონდელი** ერთი ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორთაგანია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მის „უგუბზიარა“-ში არ იყოს შეცდომა, ერთი მთავარი შეცდომათაგანი ის არის, რომ ამხ. რონდელმა კულაკობის „დემიკური“ წარმოდგენილი სოფლის ეკონომიაში შეაზარდა სოციალიზმს. ეს მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომა რონდელმა უნდა შეიცნოს და გამოასწოროს შემდეგ მუშაობაში.

ამხ. **ნ. გოგობერიძე** (რეჟისორი) მონტაჟის ერთი საუკეთესო ოსტატია, მაგრამ რამდენადაც ძლიერია მისი სურათის პირვე-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ნაწილი მეთოდოლოგიური მხრივ, იმდენად სუსტია მეორე ნაწილი —„სიტყვა ეკუთვნის", ამხ. ღოღობერიძემ სურათის ლოღიკური მონტაჟი წინაამდეგობათა ერთიანობის ნიადაგზე ააგო, ხოლო იქ, სადაც არის მოცემული სოციალისტური მშენებლობის ზოგადი შტრიხები, მას მოტივიროვკა დაეკარგა. ღოღობერიძე მოხერხებულად ხმარობს ატრაქციონების მონტაჟის მეთოდს, მაგრამ შეუძლებელია შემოქმედების შემოფარგვლა მხოლოდ ატრაქციონების ხერხებით.

უდავოა რომ ამხ. **ჭიაურელისა და ლ. ესაკიას** სახით საქართველოს საბჭოთა კინემოტოგრაფიას ყავს საუკეთესო ოსტატები, ისინი დაეუფლენ კინოტეხნიკას და თავიანთ შემოქმედებაში იყენებენ კინემატოგრაფიის დიდ შესაძლებლობებს, ამიტომ მათ უფრო მეტი მოთხოვნილება უნდა წარედგინოთ. მ. ჭიაურელის სურათზე „ხაბარდა" ბევრი დაიწერა. იმ დიდ მიღწევებთან ერთად, რომლებიც ამ სურათს გააჩნია, ჭიაურელს აქვს სერიოზული შეცდომაც, ეს შეცდომა მექანისტური ხასიათისაა. მექანისტურმა შეცდომამ მიიყვანა ამხ. ჭიაურელი ინტელიგენციის არა დიფერენციულ მიდგომამდე, რამაც პოლიტიკური შეცდომა გამოიწვია.

ამხ. **ლ. ესაკიას** სურათი „ამერიკანკა" ძირითადში სწორ ტრაქტოვკას იძლევა. ფორმალური ოსტატობაც აქ საკმაოდ მოცემულია, მაგრამ ამხ. ესაკიამ სავსებით კიდევ ვერ სძლია ლეფური ტენდენციები. უნდა აღინიშნოს, რომ „ლეფოვშჩინა" არ არის დამახასიათებელი ამ სურათის, ის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია სურათის სტრუქტურაში.

პერელმანის (სცენარისტი) შეცდომები უმთავრესად გასქემატიურებისა და გაუბრალოების ხაზით მიდის. ამ ფონზე მას საკმაო პოლიტიკური შეცდომები გააჩნია. დამახასიათებელია, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ პერელმანს არ უყვარს თავისი უხეში შეცდომების მხილება. მას თავი რომის „უცოდველ პაპათ" წარმოუდგენია, ეს ცუდია.

შეცდომები აქვს სცენარისტ **ზ. მდივანსაც**. მისი „დამკვრელებში" ნახევრად ტროცკისტული ჰანგები არის, მაგრამ მან ეს შეცდომა თვითონვე გამოამჟღავნა. ამხ. მდივანის უკანასკნელი სცენარი „როტე ფანე" უკვე პრინციპიალური დაძლევაა ამგვარი შეცდომების.

ბოლშევიკური თვითკრიტიკა სახკინმრეწვში ზოგჯერ შეცვლილია პერსონალური ღვარძლიანობით და უპრინციპო ძირჯგუფობრივობით. უნდა აღიკვეთოს ძირშივე ასეთი პრაქტიკა. უნდა განდევნილ იქნას სახკინმრეწვიდან ამ პრაქტიკის კონკრეტული მატარებელნი. უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა და გამოცხადდეს ბრძოლა ყოველგვარ დამპალ ლიბერალიზმს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახკინმრეწვის ახალი ხელმძღვანელობა მიიღებს ამას მხედველობაში და გამოიტანს აქედან შესაფერ დასკვნებს.

შ. დუდუჩავა.

მეთხუთმეტე ოქტომბერს—ბოლშევიკური ხელოვნება

(საავტორო საზოგადოებათა საკავშირო კონფერენციის შედეგები)

რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ თავის ცნობილ თეატრალურ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნა პროლეტარული დრამატურგიის წამყვანი, ხელმძღვანელი როლი საბჭოთა თეატრის მშენებლობაში. ეს დებულება თანაბრად შეეხება ხელოვნების სხვა სახეობებსაც, როგორც თეატრში ისე მუსიკალურ ხელოვნებაში, კინემოტოგრაფიაში და მასიურ საესტრადო ხელოვნებაში პროდუქციის იდეურ შინაარსობრივი მიზანდანიშნულების და ამ უკანასკნელის გამოვლინებისათვის მოწოდებული აღნაგობის თავისებურებათა ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს — რეპერტუარი შეადგენს.

ეს გარემოება განსაკუთრებულ ურთიერთობას ამყარებს ავტორსა და ხელოვნების ხსენებულ სახეობათა შორის. ავტორი არა მარტო აწვდის რეპერტუარს, არამედ იბრძვის იმისათვის, რომ მისი შემოქმედების ნიადაგზე აგებული სპექტაკლი სათანადო სიმახვილით უპასუხებდეს განზრახულ იდეურ-სოციალურ ფუნქციას.

ამ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნების ილიუსტრაციას წარმოადგენდა ლენინგრადში მოწვეული საავტორო საზოგადოებათა საკავშირო კონფერენცია, რომელზედაც შეიკრიბა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებიდან დრამატურგების, კომპოზიტორების, კინოსა და ესტრადის ავტორების საუკეთესო წარმომადგენლები, კერძოთ მხატვრულ კულტურის ამ დარგთა პროლეტარულ სექტორის და მოკავშირე-თანამგზავრულ ფენის მამოძრავებელი ძალები.

კონფერენციის მუშაობის იდეურ-პოლიტიკურმა შინაარსიანობამ ნათელი გახადა, რომ საავტორო საზოგადოებები, რომლებიც ოდესღაც თავის საქმიანობას საავტორო ჰონორარების შეკრებითა და განაწილებით განსაზღვრავენ, დღეს უკვე კულტურულ - პოლიტიკურ მიზნებით ამოძრავებულ საზოგადოებრივ - აღმზრდელობითი ორგანიზაციად გადაქცეულან და აქტიურად ჩაბმულან ლენინური კულტურული რევოლიუციისათვის ბრძოლაში.

სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნათა და საბჭოთა ხელოვნების შორის არსებული დისპროპორცია, ამ ჩამორჩენილობის მიზეზების აღნუსხვა და გამომჟღავნება, მათი დაძლევისა, და გადალახვის კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა, ხელოვნების ფრონტზე პროლეტარიატის კლასობრივი მსოფლ-მხედველობის დამკვიდრება, საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა კულტურული მშენებლობის ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის ნიადაგზე წარმართვა — ასეთი იყო კონფერენციის მუშაობის განმსაზღვრელი ძირითადი პრობლემები.

ამხ. **პოდოლსკის** ვრცელი მოხსენება და მის გარშემო წარმოებული დისკუსია, რომელმაც სამ დღეს გასტანა, შეეხებოდა საბჭოთა ხელოვნების სადღეისო ძირითად ამოცანას — დიალექტურ - მატერიალისტურ მეთოდისათვის ბრძოლას თეატრის თეორიაში, თეატრალურ პრაქტიკაში და დრამატურგიაში.

დაუნდობლად იქნა გამომჟღავნებული **ვოლკენშტეინის** საკმაოდ გავრცელებული რეაქციონური თეორია თეატრის შესახებ; ასევე მკაცრი კრიტიკა გაეწია **გვოზდევისა** და **პეტროვსკის** ანტიმარქსისტულ ეკლექტიურ - ფორმალისტურ თეორიებს. სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა მარქსიზმის მექანისტურ გამყალბებლებს თეატრის თეორიაში, **ა. გლეიზოვის** ტიპის გზადაბნეულ ეკლექტიკოსებს. (ჯგუფი „პროლეტარული თეატრი" და სხვა).

პროფ. გვოზდევი და პეტროვსკი კონფერენციაზე გამოვიდნენ თავიანთი თეორიების, თუმცა არა საკმარისი, მაგრამ შეგნებული კრიტიკით. გლეიზოვ-ხოვოცკის ჯგუფმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება მათი უხეში შეცდომების აღიარების შესახებ. მოწინააღმდეგეთა იდეური განიარაღების ეს დაწყებითი პროცესი უნდა გაგრძელდეს თეატრის თეორიაში რეაქციონურ-ეკლექტიურ მიმდინარეობათა საბოლოო გაანადგურებამდე.

კონფერენცია განსაკუთრებული ყურადღებით მოექცა ამხ. **ა. ლუნაჩარსკის** ნაწერებს თეატრის შესახებ. მასში ბევრია იდეალისტური გავლენები. ლუნაჩარსკის მთელი რიგი ფორმულები და მოსაზრებები მოითხოვენ ფხიზელ კრიტიკას და გადამუშავებას ლენინური თეორიის პოზიციებიდან. ასევე სადაო საკითხი თეატრის მეცნიერებიდან [illegible] იდეალისტურ თეორიების ალმოფხვრის შესახებ — რაც გულისხმობს „პლეხანოვის ორთოდოქსიის" ყალბ ლოზუნგთან და დებორინის გავლენებთან ბრძოლას. ამხ. აფინოგენოვმა ვრცელ სიტყვაში ბოლშევიკურად აღიარა თავისი დებორინული შეცდომები. და მათი მკაცრი კრიტიკის ნიადაგზე მისცა კონფერენციას დამარწმუნებელი დაპირება ამ შეცდომებისაგან განთავისუფლების შესახებ.

ასევეთვე ფხიზელი კრიტიკით გადასინჯა კონფერენციამ თეატრალური და დრამატურგიული პრაქტიკა. მკაცრად იქნა მხილებული დრამატურგის იური ოლეშას გამოსვლა, რომელმაც სცადა მარქსიზმისათვის ინტუიტივიზმის დაპირისპირება, ლენინური კრიტიკის როლის დამცირება და „დისტანციის თეორიის" აპოლოგია.

მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა გამოსვლებმა ნათელი გახადა პროლეტარულ ხელოვნებათა იდეურ-ხარისხობრივი ზრდის უჩვეულო ტემპები. კონფერენციამ აუცილებელ ამოცანად დასახა ორ ფრონტზე ბრძოლის გამახვილება ხელოვნების დარგში. ბრძოლა როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. პირველის გამოხატულებას წარმოადგენს ეროვნული რესპუბლიკების ხელოვნებათა მიმართ „ბატონური" დამოკიდებულება, მისდამი არა კლასობრივი მიდგომა, მასში ეგზოტიური და პრიმიტიული ელემენტების წახალისება, ხოლო მეორე საფრთხე მჟღავნდება ეროვნულ რესპუბლიკებში საკმაოდ გავრცელებული ნაციონალურად-კარჩაკეტილი ხელოვნების ტენდენციების სახით ეგზოტიურ - ეტნოგრაფიული შემოქმედების მარადიულ ეროვნული სტილისა და რიტმის ძიებაში.

საბჭოთა კინემოტოგრაფიის მიღწევების აღსანიშნავად კონფერენციამ გაამახვილა ყურადღება ამ დარგში ფორმალიზმისა და მექანიციზმის რეციდივებთან ბრძოლის საკითხებზე. განსაკუთრებით აღნიშნავდენ სცენარისტთა კადრების სიმცირეს, კონსულტანტთა კადრების არა საკმაო კვალიფიკაციას, რეჟისორების და საერთოდ კინომუშაკთა იდეური შეიარაღების აუცილებლობას.

ცხოველი დისკუსია გამოიწვია ამხ. **ბელის** მოხსენებამ მუსიკალური ფრონტის შესახებ. სასტიკად იქნა მხილებული „მიტმასნეპიუა" და „მეგუების" მხატვრული პრაქტიკა მუსიკალურ შემოქმედებაში; მასალათა ანალიზით გამომჟღავნდა დაცემულობის და ბურჟუაზიული ესთეტიზმის ტენდენციები, ფორმალისტური მიმდინარეობანი და სხვ.

გამოირკვა, რომ როგორც საბჭოთა რუსეთში ისე, მოკავშირე რესპუბლიკებში მუსიკალური ფრონტის მოწინავე კადრს პროლეტ-მუსიკოსთა ასოციაცია წარმოადგენს. ეს ახალგაზრდა ორგანიზაციები თანდათან იპყრობენ ხელმძღვანელ მდგომარეობას.

უდავო და დიდ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, აღინიშნა მთელი რიგი დეფექტებიც: ასოციაციის კრიტიკულ - ნეგატიური მუშაობა ბევრად სჭარბობს მათს დადებით - შემოქმედებითი საქმიანობას, პროლეტ-მუსიკოსთა შემოქმედებაში ხშირად ადგილი აქვს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ გავლენებს; ასოციაციები ხშირად იმეორებენ იმ შეცდომებს, რომელიც მდგომარეობს ადმინისტრატიულ საკითხების გატარებაში, გეგემონიის ხელოვნურად დაპყრობისა და მბრძანებლობის თუ მონოპოლიის ცდებში, რაც აფერხებს პირველ რიგში თვით ასოციაციების შემოქმედებითი ზრდას.

ცნობილმა უკრაინელმა დრამატურგმა ამხ. **კულიშმა** გააკეთა მოხსენება მოკავშირე რესპუბლიკათა კულტურული კავშირის შესახებ. მომხსენებელი სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს მიღწევათა და გამოცდილებათა გაცვლა - გამოცვლის დასამყარებლად შემოქმედებითი ძალების დაახლოვებისა და დაკავშირებისათვის — მასების ინტერნაციონალური აღზრდის მომსახურეობისათვის და ყოველი სახის ნაციონალიზმის აღმოსაფხვრელად.

ამხ. კულიშის წინადადებით მის მიერ აღნუსხულ ღონისძიებათა გატარებისათვის სისტემატიური მუშაობის საწარმოებლად კონფერენციამ დაადგინა შექმნას საავტორო საზოგადოებათა საკავშირო საბჭო, რომელშიც შევლენ 5—5 წამომადგენელი, თვითეული საავტორო საზოგადოებიდან, ამ საბჭოს პირველი პლენუმი მოწვეული იქნება ტფილისში, რომლის დღის წესრიგშიც საგრძნობი ადგილი დაეთმობა ხელოვნების მდგომარეობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

საავტორო კონფერენცია მმიდინარეობდა პროლეტარული საზოგადოებრივობის განსაკუთრებული ყურადღების პირობებში. მას ესწრებოდა რ. ს. ფ. ს. რ-ის განსახკომის და მრავალ კულტურულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლობა. კონფერენციას ესალმებოდენ მუშათა დელეგაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშა-ქალთა დელეგაცია, რომელმაც წაუყენა მოთხოვნა დრამატურგებს და კომპოზიტორებს — ასახონ თავიანთ შემოქმედებაში სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურად ჩაბმული ახალი ქალი.

კონფერენცია განსაკუთრებული ყურა ღებით შეხვდა ხელოვნების მუშაკთა საკა შირო ყრილობის მომართვას, რომელი მოითხოვს ავტორებისაგან დაუყოვნებლ შეუდგენ სამზადისს ოქტომბრის მეთუთხმე ტე წლისთავისათვის სათანადო რეპერტუ რის შესაქმნელად. ამ ისტორიულ თარიღი სათვის დრამატურგებმა უნდა მოგვცენ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც თავისი იდეური სიმახვილით, მაღალი ხარისხის და მონუმენტალობით შეეფერებოდეს და გამოხატავდეს გამარჯვებული პროლეტარიატის გმირულ ბრძოლებს და მის მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე.

ამ საკითხის ირგვლივ ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ რესპუბლიკანურ საავტორო საზოგადოებათა შორის გამოცხადდა სოციალისტური შეჯიბრი ამ რთულ, საპასუხისმგებლო და სახალხო ამოცანის საუკეთესოდ განხორციელებისათვის.

ბელორუსიის დელეგაციის წინადადებით კონფერენციამ გამოჰყო ავტორთა ინტერნაციონალური ბრიგადა და მიავლინა იგი საბჭოთა ბელორუსიაში ამ უკანასკნელის სამეურნეო კულტურულ მიღწევათა შესასწავლად და ადგილობრივ კულტურულ ძალებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

საკავშირო კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშებით მიმართა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკანურ განსახკომებს, რომელთაც აღუთქვა შეუნელებელი ბრძოლა და მუშაობა ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შესაქმნელად.

კონფერენციის დადგენილებებთან დაკავშირებით ჩვენს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ლენინურ თეორიის პოზიციებიდან ბოლშევიკური სიმახვილით გადავსინჯოთ ხელოვნების თეორეტიული ფრონტი და დაუყოვნებლივ ვამხილოთ კერძოთ [illegible], მუსიკისა და კინემოტოგრაფიის თეორიის დარგში არსებული მენშევიკურ - იდეალისტური და ფორმალისტურ - ეკლექტიური შეხედულებანი. ასეთივე სიმახვილით უნდა შევაფასოთ არსებული მხატვრული პრაქტიკა და კერძოთ დრამატურგთა და კომპოზიტორთა შემოქმედებას მივსცეთ ნათელი კლასობრივი შეფასება. ხელოვნების პარტიულობისათვის ბრძოლის ნიადაგზე უნდა გავშალოთ ავტორთა შემოქმედებითი მუშაობა და ავიყვანოთ იგი უმაღლეს იდეურ - ხარისხობრივ სიმაღლეზე, მასში პროლეტარული მეთოდის დიალექტიური მატერიალიზმის გაბატონებით.

დაუყოვნებლივ მთელი ძალებით უნდა შეუდგეთ სამზადისს საკავშირო კონფერენციის კონკრეტულ დავალების გასანაღდებლად: პროლეტარიატის გამარჯვების მეთუთხმეტე წლის თავს უნდა მივსცეთ ბოლშევიკური ხელოვნება. ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოცხადებული სოცშეჯიბრი ჩვენი შემოქმედებითი გამოცდაა.

საქართველოს დრამატურგებმა, კომპოზიტორებმა და კინოსა და ესტრადის ავტორებმა, მათმა პროლეტარულმა ავანგარდმა და საუკეთესო მოკავშირე თანამგზავრმა ნაწილმა კოლექტიური ბრძოლით უნდა უზრუნველყოს ამ შეჯიბრში ღირსეული გამარჯვება.

ბეს. ჟღენტი.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ხუთწლედის გმირი მწერლობაში*)

[illegible] ტურული ორგანიზაციაა, ის წამყვანი იდეოლოგიური ძალაა მწერლობაში და აქტიური შემბრძოლი მხატვრული სიტყვის დაუფლებისა და შემოქმედებით ჰეგემონიის დაპყრობისათვის. პროლეტმწერლების ცალკეული მხატვრული ფაქტები სათანადო გამოხმაურებას პოულობს ფართო პროლეტარულ მკითხველში. მუშები, კოლმეურნე გლეხები, პარტიულ-კომკავშირული მასა, დღეს პროლეტმწერლობის ძირითადი მკითხველია, რაც უდავოთ იმის მაჩვენებელია, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია დღითი-დღე იზრდება, როგორც იდეურ აღმზრდელობითი-შემოქმედებითი ორგანიზაცია.

სულ სხვა საკითხია რამდენად აკმაყოფილებს დღეს პროლეტარული მწერლობა, მასიურ მკითხველის საგრძნობლად გაზრდილ მოთხოვნილებას. გასულ 1931 წელს უკვე დასრულდა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის ამოშენება, მაშინ, როდესაც პროლეტარული მწერლობა საგრძნობლად ჩამორჩენილია სოციალისტური მშენებლობის ზრდის დღევანდელ-დონესთან. ამის თვალსაჩინო მაგალითი ისიც არის, რომ ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა და კოლმეურნეობებმა პარტიის სწორი ხელმძღვანელობით და მუშათა კლასის დაუღალავი და თავგადადებული შრომით, ჩვენს ქვეყანას უკვე დაუმტკიცეს ნამდვილი გმირობა და მშენებლობის ენტუზიაზმი, როგორც მრეწველობის ისე საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე. ფაბრიკა-ქარხნებმა და კოლმეურნეობებმა მშენებლობის პროცესში, ქვეყანას მისცა ახალი ადამიანების—ხუთწლედის გმირების ათასეული სახელები, პროლეტარულმა მწერლობამ კი როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში მხატვრული სიტყვის საშუალებით ჯერჯერობით ვერ მისცა ფართო მკითხველ მასებს მშენებლობის ფრონტზე დაუღალავ მებრძოლთა, შრომის ენტუზიასტთა ნამდვილი გმირული სახე, ჯერჯერობით ვერ გადიტანა მკითხველთა მასებში ხუთწლედის გმირების ამ დაუღალავ მებრძოლთა და ენტუზიასტთა ტიპიური წარმომადგენლები,

ხუთწლედის გმირი მწერლობაში უთუოდ ახალი ლიტერატურული მოვლენაა, რომლის მხატვრული ასახვა არ შეიძლება გარკვეულ სიძნელეებთან და დაბრკოლებებთან არ იყოს დაკავშირებული. თემატიური სიახლე, მასალათა სიჭარბე და ნაირ-ნაირობა ერთი შეხედვით თითქო აადვილებს ხუთწლედის გმირის ლიტერატურაში ჩვენების საქმეს, მაგრამ ვინაიდან ხუთწლედის გმირის ჩვენება შეუძლებელია იმ კონკრეტულ მასალის შესწავლის გარეშე, რომლის ფონზე გამოვიდა და დასრულდა გმირი, როგორც ხუთწლედის გმირი, გახდა ტიპური და მისაბაძი, როგორც მშენებლობის ფრონტზე თავდადებული მებრძოლი, ის აყენებს ავტორების წინაშე ფრიად სერიოზულ საკითხს, რომლის სწორ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ხუთწლედის გმირის მხატვრულად ჩვენების საქმე.

ხუთწლედის გმირი კონკრეტული მასალაა, რაც მოითხოვს ავტორისაგან წარმოების პროცესების ზუსტ ცოდნას და ადამიანთა მასალის შესწავლას და ათვისებას. რაც თავის თავად თითქო „ზღუდავს" ავტორის მიერ გმირების, თუ ცალკე ეპიზოდების „გამოგონებას"-აც და „შეთხზვას" მომენტებს, მასალის ფოტოგრაფიული ფიქსაცია და ბიოგრაფიზმი კი ავტორს მიიყვანს ანტიმხატვრულ ნაწარმოებამდე, სადაც უნებურად გვერდაუვლელი იქნება ხუთწლედის გმირის ჩვენების კლასობრივ-პარტიული ტენდენცია და მთელი ის ფსიქო-იდეური პროცესები და გარდატეხები, რაც უთუოდ ხდება ხუთწლედის გმირის პირად (ოჯახურ) თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ხუთწლედის გმირის ჩვენების დროს ავტორი გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას განიცდის მასალის დამუშავებაში, ვინემ ჩვეულებრივი „მოგონილი" გმირის (თუ მასალის მთლიანად) ჩვენებისა და ასახვის დროს. ვიმეორებთ მასალის სიახლე და მრავალფეროვნება, აგრეთვე თემატიური აქტუალობა ართულებს და აძნელებს ხუთწლედის გმირის ჩვენებას ლიტერატურაში, მაგრამ უთუოდ ცდებიან ის ამხანაგები, რომლებიც ამგვარ სიძნელეებიდან გამოსავალს ჟანრის შერჩევაში ეძებენ, და არა დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის დაუფლებაში, თითქო ჟანრი იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი და არა მეთოდი, რომლის სწორ მომარჯვებაზეა დამოკიდებული ხუთწლედის გმირის ლიტერატურაში დასრულებულად ჩვენების საკითხი: ასე მაგალითად, ამხ **ბეს. ჟღენტი** წერილში „ხუთწლედის გმირი ლიტერატურაში" („სალიტ. გაზეთი" № 6, 1931 წელი), რომლის ზოგიერთ დებულებებს ჩვენ ვიზიარებთ, ერთ ადგილას სწერს: „ამ ამოცანის დასამუშავებლად (ლაპარაკია ხუთწლედის გმირის ჩვენებაზე ლიტერატურაში. პ. ჩ.) არ გამოდგება ლიტერატურაში ნაცადი ყველა ჟანრები", ან კიდევ „ამავე დროს შეუძლებელია რომელიმე ჟანრის წინასწარი დაკანონება. (შედარებით დასახულ ამოცანასთან უფრო ახლო იქნება, (?) ჩვენის ფიქრით პროზის დარგში დოკუმენტალური პროზა, მემუარულური ჟანრი, ნარკვევი და მიმოხილვა".

საოცარია, რატომ გონია ამხ. ბესო ჟღენტს, რომ ხუთწლედის გმირის ჩვენების დროს ლიტერატურაში, იზღუდება ჟანრთა მომარჯვების შესაძლებლობანი, ან ხდება რომელიმე ჟანრის დაკანონება, ან კიდევ დასახულ ამოცანასთან შედარებით ახლო იქნება, მემუარული ჟანრი, ნარკვევი, მიმოხილვა და სხვა. ნუ თუ სადაო არის ამხ. ჟღენტისათვის, ის დებულება, რომ დოკუმენტალური პროზა, მემუარული ჟანრი, ნარკვევი და მიმოხილვა (მიმოხილვაც კი) უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა ფაქტების მშრალი ფიქსაციისა და ფაქტოლოგიისას, რომ ამ ჟანრების მომარჯვებით უკეთეს შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ხუთწლედის გმირის ბიოგრაფიულ დოკუმენტალურ აღწერას, წარმოების ფოტოგრაფიულ სურათს, ვინემ ხუთწლედის გმირს კლასობრივ ბრძოლის პროცესში მოცემულს. როგორც ამას თვითონვე მოითხოვს ავტორისაგან ამხ. ბესო ჟღენტი.

რატომ არ შეიძლება ხუთწლედის გმირის ჩვენება პოემაში რომანში, მოთხრობაში და სხვა. ნუ თუ კონკრეტულ მასალაზე, კონკრეტულ გმირზე, შეუძლებელია მხატვრული ნაწარმოების (პოემის, რომანის, მოთხრობის) დაწერა, ისე, რომ პოემის თუ რომანის გმირი (იგივე ხუთწლედის გმირი) იყოს ტიპიური, იყოს მისაბაძი და კლასობრივ-პარტიული ტენდენციით გამსჭვალული! ცხადია შეიძლება და უპირველეს ყოვლისა მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ხუთწლედის გმირის ჩვენება ლიტერატურაში; მაგრამ ამხ. ბესო ჟღენტი აქაც ვერ იჩენს თანამიმდევრობას და სწერს: „ხუთწლედის გმირი ლიტერატურისათვის გარკვეული მასალაა, საჭირო არაა მისი განყენება და ზოგად აბსტრაქციულად ქცევა". ხუთწლედის გმირის აბსტრაქტიულობაზე ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან დამკვრელობა და ხუთწლედის გმირობა წარმოებაში თავისთავად არ არის აბსტრაქტიული მოვლენა. ის ფრიად საზოგადოებრივი კომუნისტური პრაქტ. მოვლენაა, რაც რა თქმა უნდა არ სპობს შესაძლებლობას კონკრეტული ხუთწლედის გმირის, ვთქვათ ვინმე გიგაურის, გატიპიურების და განზოგადოებისას. ხუთწლედის გმირობა მასიური მოვლენაა, მაშასადამე ის ტიპაც არის. ამიტომ ხუთწლედის გმირის ცალკე პორტრეტული მოცემა, მისი (ერთი გმირის) ბიოგრაფიულ ჩარჩოში ჩატევა, ვერასოდეს ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას ხუთწლედის ტიპიურ გმირზე, მაგრამ ამხ. ბესო ჟღენტს თუ დავუჯერებთ, თურმე ნუ იტყვი „ხუთწლედის გმირი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ (?) ფორმაციაქმნილი მოვლენა, რომელიც ყალიბდება და იზრდება კლასობრივი ბრძოლის უმძაფრეს გარემოცვაში". ვსთქვათ ეს ასეა, მერე? ველოდოთ მის საბოლოო ჩამოყალიბებას? ეს ხომ იგივე ე. წ. დისტანციის თეორიაა, რასაც თვითონვე ებრძვის სხვაგან ამხ. ბესო ჟღენტი. გარდა ამისა, ვინ თქვა, რომ ჩვენ მიმდინარე ეტაპზე არ გვყავს საბოლოოთ ჩამოყალიბებული ხუთწლედის გმირები, გმირები, რომელთა ბრძოლები არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ მათ (ხუთწლედის გმირები) კლასიური სიფხიზლითა და აქტიურობით შესისხლხორცებული მსოფლმხედველობა. ხუთწლედის გმირების ასეთი შეუფასებლობა იმდენად, რომ ვსთქვათ აშკარა ოპორტუნიზმია, საკითხის არა სწორ დაყენებაზე ამოფარებული.

ცოტა ქვემოთ ამხ. ბეს. ჟღენტი სწერს: რომ მასში (ხუთწლედის გმირებში პ. ჩ.) გამოხატოს მებრძოლი კლასის მშენებელი პრაქტიკის იდეური შინაარსი, გმირის პორტრეტმა (რატომ პორტრეტმა და არა ტიპიურმა გმირმა? პ. ჩ.) უნდა მოგვცეს კლასობრივი იდეების განსხეულება და არა მხოლოდ ერთი ადამიანის პროფილი".

რა არის ეს თუ არა დაბნეულობა. ერთი რეცეპტით ამხ. ჟღენტი ავიწროებს ხუთწლედის გმირების განზოგადოებას, გატიპიურებას. გვირჩევს მოვიმარჯვოთ მემუარი, ნარკვევი და მიმოხილვა, რადგან ისინი (გმირები) ჯერ საბოლოოთ ფორმაციაქმნილი არ არიან. მეორეთი კი მოითხოვს გმირების პორტრეტის კლასობრივი იდეებით განსხეულებას და არა ერთი ადამიანის პროფილს. ეს ჩვენის ფიქრით იგივეა, რაც ხუთწლედის გმირის განზოგადოება, მისი გატიპიურება, რომლის უახლოეს ჟანრად დოკუმენტალური პროზის, მემუარის, ნარკვევის და მიმოხილვის გამოცხადება ფაქტოლოგიის და ბიოგრაფიზმის უნებლიე დაკანონებაა; რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდენ ერთ დროს „ლეფელები" და რომლის რესტავრაციას ჩვენში დღეს ახდენს ამხ. ბესო ჟღენტი, ხუთწლედის გმირის ლიტერატურაში ჩვენების საკითხის განხილვის დროს.

ამ საკითხის დაყენება უთუოდ დროული და მიზანშეწონილია. მოსალოდნელია სათანადო შეცდომებიც, მაგრამ ეს შეცდომები და გადახრები, როდი იქნება გამოწვეული „თემატიური მასალის თავისებურებით" და „სიახლით", როგორც ეს ამხ. ბასო ჟღენტს გონია. არამედ ჩვენი მწერლობის თეორეტიულ მომზადებას ნაკლებ კვალიფიკაციით, ანუ მარქსისტულ დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის ჯერ კიდევ სუსტი დაუფლებით.

დიალექტიურ-მატერიალიზმის მეთოდის როგორც ერთად-ერთი სწორი მეთოდის დაუფლებაში ძევს დღეს ის სიძნელეებიც, რომელიც ასე მწვავედ დგას ყოველი მწერლის წინაშე ხუთწლედის გმირის ჩვენების დროს, სადაც თანახმად მარქსისტული მეთოდის ცალკეულისა ყოველი კონკრეტული (ხუთწლედის გმირის) ასახვა უნდა ზოგადში გადადიოდეს და ზოგადი (ტიპიური ხუთწლედის გმირი) ცალკეულ გმირებს, ცალკეულ დამახასიათებელ, მაგრამ ამავე დროს ზოგადისათვის ტიპიურ თვისებებს შეიცავდეს. ანუ დიალექტიურ მთლიანობაში იყოს მოცემული.

საქართველოში ჯერ კიდევ თითქმის არავის უცდია ხუთწლედის გმირის ლიტერატურაში ჩვენება მკითხველის გაზრდილი მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება მიღწეულით მას არ ყოფნის „საკითხავი მასალა", მასალა სოციალისტურ მშენებლობის ყოველდღიურობიდან. მით უმეტეს უკმაყოფილო იქნება ის ხუთწლედის გმირებზე ლიტერატურის სრული სიღარიბით, რაც რა თქმა უნდა დროებითი მოვლენაა, რომლის დაძლევა გადაუდებელი ამოცანაა, როგორც პრ. მწერლობისათვის, ისე საბჭოთა მწერლობისათვის საერთოდ.

ჩვენის ფიქრით, გმირების ლიტერატურაში ჩვენების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტულ წარმოებაში (წარმოების ფონზე) აღებულ გმირს (ხუთწლედის გმირს) აგრეთვე, მსგავს წარმოებათა სპეციალურ პირობებს, რათა საწარმოო პროცესების და კონკრეტულ გმირთა ყოველდღიურ მუშაობის ასახვა მოხდეს მათი გატიპიურების და განზოგადოების ნიშანქვეშ. ასე მაგალითად, თუ ავტორი მიზნად დაისახავს გვიჩვენოს ლიტერატურაში, ქვანახშირის მაღაროში, მომუშავე ხუთწლედის გმირი, ვთქვათ ვინმე ბარბაქაძე. ავტორმა ბარბაქაძე, როგორც კონკრეტული პიროვნება ისეთი ტენდენციით და კლასიურ—პარტიული ხედვით უნდა ასახოს წარმოებასა თუ საყოფაცხოვრებო პროცესში, რომ ის დამახასიათებელი იყოს ბარბაქაძისათვის როგორც ხუთწლედის კონკრეტულ გმირისათვის, დამახასიათებელი და ტიპიური იყოს აღნიშნულ მაღაროში მომუშავეთათვის, და აგრეთვე ქვანახშირზე მომუშავე მაღაროელისათვის საერთოდ.

ჩვენი დაკვირვებით ასე იწერებოდა სამოქალაქო ომის გმირების ცხოვრება. ვის არ წაუკითხავს სერაფიმოვიჩის საკმაოდ გახმაურებული რომანი: „რკინის ნაკადული". რომანის მთავარი გმირი კოჟუხი ტიპიური წითელი კომანდირია, სამოქალაქო ომის თავდადებული გმირი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლი. როგორც გამოირკვა კოჟუხი, ნამდვილი წითელი კომანდირია, გვარად კოპტიუხი, რომელიც ამჟამადაც, წითელი არმიის ერთ-ერთი სარდალთაგანია. ის ბრძოლები როგორც სერაფიმოვიჩი მოგვითხრობს რომანში, ნამდვილი ბრძოლის ეპიზოდებია, ჩატარებული კოპტიუხის (იგივე კოჟუხის) უშუალო მონაწილეობით და მეთაურობით, მაგრამ ვინ იტყვის რომ კოჟუხი თავგადასავალი არ არის ტიპიური და [illegible] სამოქალაქო ომების წითელ კომანდირის საერთოდ, სულერთია იბრძოდენ ისინი შავი ზღვის სანაპიროებზე თუ შორეულ [illegible] მხარეში.

„რკინის ნაკადული" რომ მიმოხილვის სახით დაწერილიყო ან ნარკვევის, ან მემუარის, დამარწმუნებლით ისე მძლავრი ემოციონალური ზემოქმედების მხატვრული ფაქტი არ იქნებოდა, როგორც ეს არის სინამდვილეში.

ლ. ტოლსტოის „ომი და ზავი" ძირითადში კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე აგებული რომანია. ავტორის მდიდარმა ფანტაზიამ კი რომანის ზოგიერთი ნამდვილი გმირი იმდენად განაზოგადა და გაატიპიურა, რომ ეპოქის დამახასიათებელ ცოცხალ ტიპად დაუტოვა მემკვიდრეობას.

ჩვენ აქ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვეძლო, იმის დასამტკიცებლად რომ ეპოქალური ნაწარმოები მეტწილად კონკრეტულ მასალაზე, კონკრეტ მაგალითებზე, თუ გნებავთ ცოცხალ ადამიანებზე იწერება, მაგრამ ოსტატის ძლიერებაც სწორედ ის არის, რომ ცალკეული კონკრეტული მასალა, ოსტატის ხელით უკვდავი და ეპოქალური ხდება. ხოლო ხუთწლედის გმირებზე რომ დაიწეროს ეპოქის ღირსეული ტილოები, რომ შეიქმნას უკვდავი ეპოპეია მშენებლობის ფრონტზე, ისე როგორც ეს მოხდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე საჭიროა მეთოდის (დიალექტიურ—მატერიალიზმის მეთოდის) სრული დაუფლება და მხოლოდ ამის შემდეგ — ჟანრების, რომელთა შორის მთავარია დღესაც რომანი. ნოველა, პოემა და სხვ. და ნარკვევი, მემუარი და მიმოხილვა, გორც ეს ამხ. ბ. ჟღენტს გონია.

არავინ იფიქროს თითქო ჩვენ უარ დეთ ნარკვევ მემუარ-მიმოხილვას, რო ჟანრს, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია შიულ ჟანრების საშუალებით მხატვრულ წარმოების დაწერა, მაგრამ უპირატე მაინც რომანის მხარეს ვიღვწით. მ მოგონება თუ ისტორიული მასალ გინდ საინტერესო არ იყოს ის თა რისით, მაინც ვერ იქნება (და არ მხატვრული ნაწარმოები, არ არის და მაშასადამე არც საზოგადოებრ წლედის გმირი კი ჩვენ უნდა აისახ რლობაში, როგორც ტიპიური-ზოგა ვლენა, კონკრეტულ მასალაზე და ბით. მთავარია მეთოდი თუ როგორ მხედველობით სახავს გმირს.

სამწუხაროდ ჩვენ ვერაფერს ხუთწლედის გმირების ჩვენების რულ ფაქტებზე, რადგან ასეთი მოგვეპოვება ქართულ მხატვრულ ლ ტურაში.

მკითხველი მთელის მწერლობიდა წლედის გმირთა ეპოქალურ ტილო მოითხოვს და მშენებლობის ფრონტი ულობს.

---

*) [illegible] წერილი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვერ წავიდა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო.

გავაშალოთ ბრძოლა კონტრევოლიუციონურ ტროცკისტულ კონტრაბანდის, ფედერალიზმის რეციდივების და უპრინციპო ეკლექტიზმის წინააღმდეგ ლიტერატურის სახელმძღვანელოებში

საბჭოთა დაწყებითი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სოციალიზმის მშენებელთა და ახალ კადრების კლასობრივად აღზრდის და იდეურად განმტკიცების საქმეში მხატვრულ ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური მწერლობის შესწავლას დამყარებულს მარქსისტულ ლენინურ თეორიაზე, შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მოსწავლე მშრომელ ახალგაზრდობის კლასობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ლიტერატურის სწავლების ხარისხი, მისი მეთოდოლოგიური სისწორე ბევრადაა დამოკიდებული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ხარისხისაგან, მათი იდეური სიმტკიცისაგან.

ამავე დროს ლიტერატურის სახელმძღვანელოთა შედგენისა და გამოცემის საქმეში დღემდე ადგილი აქვს დაუშვებელ უპასუხისმგებლობას. მათი შედგენა ევალება უმთავრესად იდეოლოგიურად უცხო და დაბალი თეორეტიული ცოდნის მქონე ავტორებს. ამის შედეგად ლიტერატურის სახელმძღვანელოთა უმრავლესობა შეიცავს, როგორც ლიტერატურულ, ისე უკონომ. სოციალურ პროცესების გამყალბებელ თეორიებს. მათში უხვადაა გაბნეული ანტი-ლენინური, ანტი-მარქსისტული იდეები, იდეალისტური ფილოსოფიის ნარჩენები, მომენშევიკო იდეალიზმის გავლენები, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის და ფედერალიზმის რეციდივები. მთელ რიგ შემთხვევაში ეს რეაქციონური თეორიები მოცემულია მათს ეკლექტიურ შეთავსებაში. ამგვარი იდეები მრავალათასიან ტირაჟით გამოცემულ სახელმძღვანელოების საშუალებით ვრცელდებიან პროლეტარულ ახალგაზრდობაში. ასეთი მდგომარეობა ვიმეორებთ, აფერხებს ახალ კადრების კლასობრივად აღზრდის საქმეს.

ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, დიალექტიურ მატერიალისტურ მეთოდის გაბატონებისათვის ბრძოლა უნდა დაისახოს უახლოეს დამკვრელ ამოცანად. ამ ნიშნის ქვეშ უნდა გადაისინჯოს არსებული სახელმძღვანელოები და დაუნდობლად გამომჟღავნდეს მათში გაფანტული ანტი-მარქსისტული, ანტი-ლენინური იდეები.

ორგანოტროპიზმის „ფილოსოფია“ საბჭოთა სკოლებში

ლიტერატურის სახელმძღვანელოთა სიაშია შეტანილი კ. კონსტანტინე კაპანელის ერთობ ეკლექტიური, ცრუ-მეცნიერული „სტილით“ დაწერილი წიგნი „ქართულ ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. აღნიშნული შრომა თავისი მეთოდოლოგიური სისტემატიზაციით ანტიმარქსისტული, ანტი ლენინურია, ხოლო კლასიური, პარტიული თვალსაზრისით იგი სოციალ-ფედერალიზმის აპოლოგიას წარმოადგენს. მიუხედავათ იმისა, რომ კომუნისტურმა კრიტიკამ კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“ საფუძვლიან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, დღემდე ამ კრიტიკიდან, არც ავტორს და არც განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს, სათანადო გაკვეთილი არ მიუღია. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ დამპალი ლიბერალიზმის წყალობით ზოგჯერ ტრიბუნა ეთმობა სოციალ-ფედერალიზმის თითქოს „უპარტიო“ აგენტებს და ამ ნიადაგზე მოსწავლე მშრომელ ახალგაზრდობის ჯანსაღ ფსიხიკას კლასიური მტრის იდეოლოგით სწამლავენ.

კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“-ს უკანასკნელი გამოცემა, რომელსაც განსახკომის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს ბეჭედი აზის, არაფრით არ განსხვავდება მის წინა გამოცემებიდან; პირიქით, აღნიშნულ გამოცემას ეკლექტიზმის საკმაო დიდი დოზა აქვს მიღებული. „სოციალურ გენეზისის“ ავტორს სრულიად ყალბად გაუგია 1930 წელში გაზეთ „ახ. კომუნისტში“ ამავე წიგნზე დაბეჭდილი კრიტიკული მეთოდოლოგიური წერილის დედააზრი. ამ წერილის ერთგვარი ზეგავლენით კ. კაპანელს ზოგიერთ წინადადებებში სიტყვა „ორგანოტროპიზმის“ ნაცვლად „მარქსიზმი“ ჩაუსვამს, „ბიოსფეროს“ მაგიერ „ეკონომიკა“, „ორგანოტროპიული ათრთოლება“ შეუცვლია „მეთოდოლოგიათ“, „ჩხვლეტა“ „წვად“, „ათრთოლება“ „აგზნებათ“, „გაპრანჭულობა“, „მოკაზმულობათ“ და სხვ. მაგრამ „ქართული სულის“ ორგანოტროპიული მაძიებელი ვერ ასცდა მეთოდოლოგიურ დაბნეულობას; საბოლოოდ კი კ. კაპანელი ქართულ ლიტერატურაში გვევლინება როგორც კონტრ-რევოლიუციონურ სოციალ-ფედერალიზმის აგენტი.

კ. კაპანელი მთელი წიგნის მანძილზე აშკარად თუ ფარულად ებრძვის მარქსისტულ-ლენინური კვლევის მეთოდოლოგიას. კაპანელი ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენის გამომწვევ მიზეზებს კლასიურ პარტიულ ყოფაში კი არ ეძიებს, არამედ ბიოსფეროში. კაპანელისათვის „ლიტერატურული ფაქტი უწინარეს ყოვლისა ფაქტია ბიოსფეროული და მხოლოდ შემდეგ ამისა, იგი ემორჩილება ეპოქის საერთო მიმდინარეობას“, სხვა ადგილზე კაპანელი სწერს: „იდეოლოგია სამყაროს ორგანო ტროპიული ფაქტია. იდეოლოგიური განვითარება ყველა ხალხის ცხოვრებაში მიმდინარეობს ბიოსფეროულად“.

კაპანელის ეს დებულება ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. პირდაპირ კურიოზულია ის ფაქტი, რომ კაპანელის „მეცნიერული“ შეგნება ლიტერატურული ფაქტის ახსნის დროს ვერ გასცდება ანტროპოლოგიზმს და გამოგონილ ორგანოტროპიზმის არტახებს. მაგრამ ეს ფაქტი, მიუხედავათ თავის კურიოზული ხასიათისა, პარტიული კვალიფიკაციით—საბოლოო ჯამში რეაქციონური რეტროგრადობაა. კაპანელი მშრომელ ახალგაზრდობას უმტკიცებს, რომ „იდეოლოგია სამყაროს ორგანოტროპიული ფაქტია“, აი, ასეთი რევიზიით „სოციალური გენეზისის“ ავტორი ცოცხალ თავებს მკვდარი, რელიგიური, მისტიური ფილოსოფიით აფუჭებს.

მაგრამ ყველაზე სასაცილოა, როდესაც კ. კაპანელი იდეოლოგიას წარმოშობას საფუძვლად უდებს „გეოგრაფიულ ტერიტორიალურ ფაქტორებს“. „თვითეული იდეოლოგიური ფორმა—სწერს კაპანელი,— გამომდინარეობს ადგილობრივ ტერიტორიალურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ-სოციალურ თავისებურებიდან. თვითეული იდეოლოგიური სახეობა თითქოს სიგნალია მიღებული ადამიანთა შორის ბიოსფერულ საქმიანობათა მიმდინარეობაში“. ეს არის წმინდა წყლის გეოგრაფიული-კუთხური იდეალიზმი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ფაქტის ჭეშმარიტ მხარესთან. აქ აბსოლუტურად დავიწყებულია იდეოლოგიის წარმომშობი ძალა—კლასისა და პარტიის სახით. იდეოლოგიის შემოზღუდვა ტერიტორიით ნიშნავს მარქსიზმის წინააღმდეგ თავხედურ ბრძოლას. კაპანელის „მეცნიერული“ დებულებით გამოდის, რომ იმდენი იდეოლოგია და კლასი არსებობს, რამდენიც ტერიტორიალური შემოზღუდვა. ეს კი აბსურდია.

მაგრამ ამას არ ჯერდება ორგანოტროპიზმისათვის წამებული კაპანელი და საჯაროდ ამტკიცებს თითქოს „ბიოსფერომ წარმოშვა სოციალური განცდათა სხვადასხვაობა ერთსადაიმავე ისტორიულ პერიოდში“. აქაც ბიოლოგიურ ანტროპოლოგისტურ ახსნასთან გვაქვს საქმე. განცდათა სოციალური სხვადასხვაობა დამოკიდებულია არა ბიოსფეროზე, არამედ კლასიურ-პარტიულ თვალსაზრისზე, სოციალური განცდა ისაზღვრება არა ბიოლოგიური კანონებით, არამედ კლასიური დეტერმინიზმით. კ. კაპანელი შეგნებულად უკუაგდებს მოვლენათა საფუძველს და ამ ნიადაგზე სრულიად უმოტივოდ და უპასუხისმგებლოდ საკითხების სიმძიმე გადააქვს ბიოსფეროლოგიაში. ჩვენ რა თქმა უნდა არ უარვყოფთ ბიოსფეროს ერთგვარ მნიშვნელობას, მაგრამ ეს მხოლოთ ერთი ელემენტია და არა მიზეზთა ფოკუსი; აქ პირველი ფაქტორი კაპანელის მიერ შეგნებულად ყურადღების გარეშეა დატოვებული. ამ ნიადაგზე იგი ცდილობს ეკლექტიზმით მარქსიზმის რევიზიას, მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე სურს შეაერთოს მარქსიზმი და ორგანოტროპიზმის მეთხოვრული „თეორია“, რადგანაც კაპანელის აზრით—მარქსიზმი ორგანოტროპიზმის გარეშე სქოლასტიკაა. ასეთია ეკლექტიკის მეთოდოლოგიური დაბნეულობა.

კ. კაპანელი თავის შრომის მეთოდოლოგიურ ნაწილში—კანტს, ჰეგელს, ფიხტეს და ზოგჯერ მარქსსაც უდავება; პათეტიური ტონით იგი პროტესტს უცხადებს საქართველოს მცხოვრებთ (ალბათ მშრომელ ნაწილს), რომელსაც არ ჯერა მისი (კაპანელის) „გენიალობა“ და ამგვარი პროტესტით „თანმიმდევარი“, „მწყობრი“ მსოფლმხედველობით შემუშავების ვარჯიშობით ცდილობს შექმნას განსაკუთრებული სისტემა კატეგორიული იმპერატივის სახით. აქ კი კაპანელი ეჯიბრება კანტს და თავს ვალდებულად თვლის იდეალისტური დებულებები, მომარჯვებით ებრძოლოს მარქსიზმს. კაპანელს [illegible] ტკიცოს, რომ „მეცნიერული ანალიზი, შესწავლა მოვლენებისა ისტორიაში, ლიტერატურაში შეიძლება მხოლოდ ორგანოტროპიზმისა და გენეზისის წესით“.

სადაა მარქსიზმი, ლენინიზმი და საერთოდ მატერიალისტური დიალექტიკა. „სოციალური გენეზისის“ ავტორმა ერთი ხელის მოსმით უარყო ყველა ეს, რადგანაც აღმოაჩინა საკვირველი მანქანა „ორგანოტროპიზმის“ სახით, რომლითაც შეიძლება მეცნიერული შესწავლა ამა თუ იმ მოვლენის. ლიტერატურული ფილოსოფით გამოწვეული თავხედობა ამაზე შორს ვერ წავა.

კაპანელის წიგნის მეთოდოლოგიური ნაწილი სავსებით უარყოფაა დიალექტიურ მატერიალიზმის; სოციალურ და ლიტერატურული პრობლემების დამუშავება რაღაც ორგანო ტროპიზმით—მარქსიზმთან შეგნებული ბრძოლაა. კაპანელი ცდილობს მარქსიზმის ეკლექტიურ გაერთიანებას ყველა იდეალისტურ დისციპლინებთან; ცხადია აქ კაპანელისათვის მარქსიზმი შირმაა, რომლის საშუალებით ამაღლებს იდეალისტურ ფედერალისტულ შრომებს.

როგორია კაპანელის წიგნის „პრაქტიკული“ ნაწილი, ცალკე მწერლების განხილვა? აქაც იგივე სოციალ-ფედერალიზმი და ეკლექტიზმია გაბატონებული. ავტორის ეს აზრი განსაკუთრებით გამოაშკარავებულია ილია ჭავჭავაძის შეფასების დროს. კაპანელი აქ რესტავრაციას ახდენს განაციონალისტებულ „ხალხოსნების“ (მაიაშვილი) და სოციალ-ფედერალისტების („არჩილ ჯორჯაძე) აბსოლიუტურად ყალბ შეხედულებებისას და ამ რესტავრაციაქმნილ იდეებით უმასპინძლდება საბჭოთა მკითხველს.

კაპანელი სწერს: „იმ დროს, როდესაც ქართველ საზოგადოებაში ტრიალებდა იდეა ბატონ-მორჩილებისა და არისტოკრატიული „ირეპროშაბილიზმის“ — ილია ჭავჭავაძე ტიტანური გამბედაობით ღაღადებს შრომისა და რევოლიუციის სიდიადეზე, კლასთა უთანასწორობაზე, ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ. ქართული განცდა... ილია ჭავჭავაძემ გადახარა... შრომისა და რევოლიუციისადმი“.

ილია ჭავჭავაძის ასეთი შეფასება სოციალ-ფედერალისტური სიყალბეა და ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ვინც კარგად იცნობს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, მის პრაქტიკულ მოღვაწეობას და ცხოვრებას ვერასოდეს ვერ მივა ამ ყალბ დასკვნამდე.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ამხ.ამხ. **სიმ. ხუნდაძე და ბ. ბუაჩიძე ფედერალისტური** რეციდივები. (ამ უკანასკნელის მიერ დაშვებული ფედერალისტური შეცდომები, ობიექტიურად ხელს უწყობდა ს. ხუნდაძეს. იხ. ამხ. ბუაჩიძის განცხადება).

მაგრამ კონსტ. კაპანელი უფრო შორს მიდის, „იმ დროს, (ე. ი. 60-იან წლების —ავტ.) სწერს იგი, თვით **რუსეთის ლიტერატურაში არ აგვაქვს ჩვენ ისეთი გარკვეული, რევოლიუციონურ დემოკრატიული და სოციალისტური იდეები, როგორც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილშია მოცემული“**. სხვა ადგილზე კაპანელი ილია ჭავჭავაძის შესახებ სწერს: **„აი ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტი ღაღადება თავისუფლებისა, თანასწორობისა, ადამიანობისა, განახლებისა, შრომის პატივისცემისა რევოლიუციისა და სოციალიზმის“.**

კონტრ-რევოლიუციონური სოციალ-ფედერალიზმი ამაზე შორს ვერ წავა. „მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალო შეცდომასთან არა გვაქვს საქმე. აქ ჩვენ ალბად საქმე გვაქვს უფრო სერიოზულ მოვლენასთან. რა თქმა უნდა ეს ვაჟბატონები (კაპანელი, კოტეტიშვილი და სხვ.—ავტ.). ამახინჯებენ სინამდვილეს, ისინი რყვნიან ისტორიას, ეს აშკარაა, რადგანაც გიჟის, ან სულელის მეტი ვინ დაიჯერებს, თერგდალეულების რევოლიუციონერობას და სოციალისტობას. რა თქმა უნდა ასეთი სისულელე არ ჯერა იმათაც, ვინც ამაზე სწერენ: ეს ვაჟბატონები არც ისე სულელები არიან. მაშ, რაშია საქმე, რისთვის გათავხედდნენ ეს ვაჟბატონები, რომ ასეთ სისულელეს ჯერ თხზავენ და შემდეგ უსირცხვილოთ აქვეყნებენ. შეიძლება ვისმეს გონია, რომ ამ ვაჟბატონებს რევოლიუცია და სოციალიზმი უყვართ და ამიტომ გამოყავს რევოლიუციონერებად და სოციალისტებად თერგდალეულები და ჭავჭავაძეები, არა იმათ მთელი თავისი არსებით სძულთ როგორც რევოლიუცია, ისე სოციალიზმი. და თუ იმათ ილია ჭავჭავაძე და ძმანი მისნი გამოყავთ რევოლიუციონერებად და სოციალისტებად ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმ მიზნით, რომ რევოლიუციის და სოციალიზმის სახელი დასცენ მკითხველის თვალში და მართლაც რა ფასი და რა მნიშვნელობა უნდა ექნეს რევოლიუციას და სოციალიზმს, როდესაც როგორც ერთის, ისე მეორის მებაირახტრებად გამოდიან ისეთი რეაქციონური და მონარქისტული მწერალნი, როგორიც იყვნენ ჭავჭავაძენი და ძმანი მათნი“ (ფილ. მახარაძე).

კ. კაპანელი ლიტერატურაში მკვლევართა იმ რიგს ეკუთვნის, რომლებიც ავტორიტეტს უქმნიან მწერლობის რეაქციონურ ნაწილს — რევოლიუციონური მწერლობის დამცირების ხაზით. ლიტერატურის ისტორიაში კაპანელი მიჰყვება არჩილ ჯორჯაძეს და კიტა აბაშიძის გატკეპნილ გზას. ცალკე მწერლების კიტასებური შეფასება, დანიელ ჭონქაძის და ეგნატე ნინოშვილის ხელოვნური დამცირება, შოთა რუსთაველის სოციალისტად და თანასწორობის მებაირახტრედ გამოყვანა, ისტორიული პროგრესის უარყოფა, უცვლელი წრეწირის მიღება განვითარების არსებით მხარეთ, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ალექ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის, გ. წერეთლის, ვ. ორბელიანის სოციალ-ფედერალისტური შეფასება, ილია ჭავჭავაძის, სოციალისტად და რევოლიუციონერად „მონათვლა“, ორგანოტროპიზმის ეკლექტიური შეზრდა მარქსიზმ-ლენინიზმთან, ლიტერატურული მეთოდოლოგიური პრობლემების ფედერალისტური იდეალიზმით ახსნა, — მატერიალისტური დიალექტიკის გაყალბებისა და ბოლშევიზმთან ბრძოლის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ამ საფუძვლებზე კაპანელის „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“ ასრულებს კლასიური მტრის დაკვეთას. ლიტერატურის მეცნიერებაში კაპანელის სახით შემოდის მარქსიზმ-ლენინიზმის ეკლექტი რევიზორი, რომელიც ცდილობს მატერიალისტური დიალექტიკის დახურდავებას მოგონილ ორგანოტროპიზმზე.

ეს მოვლენა მით უფრო სამწუხაროა, რომ აღნიშნული შრომას **განათლების კომისარიატის სამეცნიერო საბჭო ყოველგვარი შენიშვნის გარეშე სახელმძღვანელოთ აწვდის მოსწავლე მშრომელ ახალგაზრდობას და** ამით იდეალისტურ ფედერალისტურ გესლს ანთხევს მათ ჯანსაღ ფსიხიკაში.

უპრინციპო ეკლექტიზმის და თეორიული უმეცრების წინააღმდეგ

ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის დარგში რამოდენიმე დასრულებულმა ანტი-მარქსისტულმა რეაქციონურმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. მთელი რიგი წლების მანძილზე მარქსიზმ - ლენინიზმს ამ დარგში უპირისპირდებოდა და ებრძოდა ფორმალისტური შკოლა, რომელიც მთლიანად იდეალისტურ ფილოსოფიიდან გამომდინარეობს. დიდხანს მარქსისტულ ხელოვნებად—მეტყველებად საღდებოდა პერევერზევის მენშევიკური ლიტ-კონცეპცია, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის მექანისტურ დამახინჯებას, ემყარება ვულგარულ მატერიალიზმის თეორიას და დიალექტიკის მეტაფიზიკით ცვლას. აგრეთვე საკმაო გავლენით სარგებლობდა ლიტერატურის მეცნიერებაში „პლეხანოვის ორთოდოქსიის“ ყალბი ლოზუნგი და დებორინული ფილოსოფიის მომენშევიკო-იდეალიზმის კონცეპცია.

ჩვენი იდეოლოგიური ბრძოლის ლენინურმა ეტაპმა საკმაო სიცხადით გამოამჟღავნა ამ „თეორიების“ რეაქციონური ხასიათი, მათი მავნებლური როლი პროლეტარიატის კლასობრივი ხელოვნებისა და კულტურის მშენებლობაში.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი არა ნაკლებ მავნებლური რეაქციონური საფრთხე, ეს არის უპრინციპო ეკლექტიზმი, რომელიც მოკლებულია რა რაიმე გარკვეულ მსოფლმხედველობითი სისტემას, ანვითარებს რა თავის თავში სრულიად მოწინააღმდეგე იდეურ მიმართულებათა ცალკეულ ელემენტებს, ახდენს მათ მექანიკურ გაერთიანებას, ცდილობს „მოარიგოს“ და „შეათანხმოს“ მებრძოლი თეორიული სისტემები და ამრიგად ამახინჯებს, აყალბებს თეორიულ აზროვნების პროცესებს.

ცნობილია, თუ რა სიმკაცრით და შეურიგებლობით ესხმოდა თავს და ანადგურებდა ლენინი თავის ნაშრომებში ყოველგვარ ეკლექტიურ თეორიას და ცალკეულ ცდებს.

კერძოდ ჩვენში ლიტერატურისა და ისტორ. თეორიის სფეროში ეკლექტიზმი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ საქმე კიდევ იმით რთულდება, რომ აქ იგი „გამრავლებულია“ თეორეტიულ უმეცრებაზე, დაბნეულობაზე და სრულ გაურკვევლობაზე.

ასეთი სახის „თეორეტიული საქმიანობის“ ყველაზე ნათელ ნიმუშს წარმოადგენს **თედო ბეგიაშვილის** წიგნები, რომელთა საშუალებითაც დღემდე მოსწავლე პროლეტარულ ახალგაზრდობაში და საბჭოთა საზოგადოებრივობაში ვრცელდება ლიტ-მეცნიერების თითქმის ყველა რეაქციონურ მიმდინარეობათა იდეები. მათი ვულგარული პრიმიტიული ინტერპეტაციით და რაც მთავარია ხშირად მათი მარქსიზმ-ლენინიზმთან „შეთანხმების“ და „შეთავსების“ ტენდენციებით.

ავიღოთ მისი **„ლიტერატურული საუბრები“**, რომელსაც ამშვენებს წარწერა **„სახელმძღვანელო ლიტერატურული თემების მოხსენებების და რეფერატებისათვის“**. როგორ განმარტავს ამ წიგნის ავტორი ხელოვნებისა და კერძოდ ლიტერატურის რაობას, მის საზოგადოებრივ როლს მის ადგილს სხვა ფორმათა შორის და სპეციფიკას? „ლიტერატურა“, როგორც იდეოლოგია ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობისაა. ლიტერატურა საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა და საუკეთესო საშუალება წარსული თუ თანამედროვე ცხოვრების გასაცნობად“. „ლიტერატურა საზოგადოებრივი კლასთა დაყოფის და კლასთა ბრძოლის სურათია“. „ლიტერატურა საზოგადოებრივი იდეოლოგიაა და როგორც ასეთი არის გამომხატველი საზოგადოებრივი კლასიური ეკონომიური ცხოვრებისა“.

ამ დებულებებს ავტორი დაუსრულებლად იმეორებს, როგორც სჩანს აქ ლიტერატურა განხილულია, როგორც პასიურ-გამომსახველობითი კატეგორია, როგორც ქვრეტა და სარკე. აქ მიჩქმალულია ლიტერატურის აქტიური, ცხოვრების გარდაქმნაზე ზემომქმედი როლი, იგი როგორც ფაქტორი კლასთა ბრძოლის, როგორც კლასის „სულიერი იარაღი“ (მარქსი) ბეგიაშვილისათვის არ არსებობს. ძნელი არ არის ნათლად დავინახოთ ამ საკითხში **ავტორის იდეური ნათესაობა პერევერზევის მენშევიკურ კონცეპციასთან.** მაგრამ ეს უფრო ნათელი გახდება შემდეგი ამონაწერებით: **„ლიტერატურა სახეების საშუალებით მოქმედობს,** არა მშრალი ლოღიკური დებულებებით ცდილობს დაგვარწმუნოს, არამედ **ჩვენს გრძნობებს და განცდებს მიმართავს.** ლიტერატურა არის **სახეების სისტემა** და არა ცნებების სისტემა. ამიტომ ლიტერატურის საშუალებით საზოგადოების გაცნობა უფრო „ეკონომიურია“ (ყოველივე ზედმეტს ჩამოშორებული ტიპები) და განსაკუთრებით გარკვეული ცნობიერებისათვის ადვილად დასამახსოვრებელია“.

ამ რიგად ავტორი ლიტერატურას აცხადებს „სახეების სისტემად“ სადღაა იდეური მსოფლმხედველობითი მომენტი? ავტორი ლიტერატურას აცხადებს მხოლოდ გრძნობათა და განცდათა კატეგორიად და მისი საზოგადოებრივი როლის აბსურდულ განმარტებას იძლევა. უფრო ნათლად ეს აზრი შემდეგნაირად აქვს გამოთქმული: „მეცნიერებას სისტემაში მოჰყავს **ადამიანის აზრები,** ალაგებს მათ ერთგვარ წესზე ასუფთავებს მათ“. „ხელოვნების საგანს ადამიანის **გრძნობათა მხარე** შეადგენს. ადამიანის გრძნობები კი მრავალგვარია“. „ხელოვნებას სისტემაში მოჰყავს **ეს გრძნობები გამოხატავს** მათ მხატვრულ სახეებში“.

„ამრიგად ხელოვნება არის **გრძნობების სისტემატიზაცია** სახეებში, ხოლო ხელოვნების ძირითადი საზოგადოებრივი როლი მდგომარეობს **ამ გრძნობების განსაზოგადოებრივებაში, მათი საზოგადეობაში გადაცემასა და გავრცელებაში“.**

ასე გამოთიშა ბეგიაშვილმა ხელოვნება და ლიტერატურა იდეოლოგიის სხვა ფორმებს, დაუპირისპირა მათ, გამოაცხადა იგი მხოლოდ გრძნობებისა და სახეების კატეგორიად და [illegible] როლი განმარტა [illegible] დებულების (რომელიც უკრიტიკოდ [illegible] ბუხარინმა) ვულგარული და პრიმიტიული პოპულიარიზაციით.

მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბეგიაშვილი ეკლექტიკოსია. იგი არც შეიძლება თანმიმდევარი და ლოღიკური იყოს. აი, რას გვეუბნება იგი სხვა ადგილას, ამავე წიგნში ხელოვნების რაობის შესახებ. "ლიტერატურა ერთერთი დარგია ხელოვნებისა, ხოლო ხელოვნება **ისეთივე პროდუქციაა საზოგადოებრივი ცხოვრების** როგორც მეცნიერება ან სხვა რომელიმე პროდუქტი **მატერიალური წარმოებისა“**. აქ უკვე ხელოვნებას სავსებით ეკარგება თავისი სპეციფიკა. აქ არა მარტო იდეოლოგიის ფორმების გაიგივებასთან გვაქვს საქმე, არამედ მოხსნილია სპეციფიკური იდეოლოგიურ და მატერიალურ საქმიანობას შორის.

ბეგიაშვილი, როგორც სანიმუშო ეკლექტიკოსი ცდილობს მარქსიზმთან შეათავსოს ბიოლოგიზმი. იგი სწერს: „მხატვრული მოქმედება ერთის მხრივ **ესთეტიური მოთხოვნილების პროდუქტია, ხოლო** ესთეტიური მოთხოვნილება თვით ადამიანის **ორგანიზმის ბუნებრივი მოთხოვნილებაა,** რომელიც თავს იჩენს როგორც პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში, ისე **კულტურის ყველა საფეხურებზე მდგომ პიროვნებაში“.** ასეთია ლოგიური, მარადიული ესთეტიკის შიშველი აპოლოგია.

იგულისხმება, რომ ამ აზრების ავტორს არაფერი უნდა აკავშირებდეს მარქსიზმ-ლენინიზმთან. მაგრამ ბეგიაშვილი ეკლექტიური ხელმოქნილობით „ებლაუჭება“ მარქსიზმს. იგი აღიარებს, რომ „კლასობრივი პრინციპი ლიტერატურაში ყოველთვის მთავარი მოვლენაა“. (სტილი ყველგან ბეგიაშვილისაა), მაგრამ როგორ ესმის მას ლიტერატურის კლასობრივი ბუნება. „მწერალი თავადაზნაურობის წრიდან და მწერალი გლეხობიდან ერთ და იმავე მოვლენას სხვადასხვანაირად დახატავენ. შეიძლება შეუგნებლად, მაგრამ კლასიური ინტერესები და ფსიხოლოგია ასე თუ ისე მაინც იჩენს თავს“, როგორც სჩანს ავტორი იდეურ-მსოფლმხედველობითი მომენტს ფარავს ბიოგრაფიით. აქ იგი პერევერზევის ნამდვილი მოწაფეა მხოლოდ პრიმიტიულ და მდარე ფორმებში. კლასობრივი შეგნება აქ „წოდებრივი“ აპერცეპციის თეორიით არის შეცვლილი. აქვე კლასების კარჩაკეტილობის თეორია და სხვა „სინამდვილე კი კლასობრივი თვალსაზრისით გაშუქებული შეცვლილი და ამა თუ იმ მიმართულებით **დამახინჯებული გამოვა“** სწერს ბეგიაშვილი. ეს მართალი დებულება იქნებოდა, რომ იგი ექსპლოატატორულ კლასებს შეეხებოდეს, მაგრამ ბეგიაშვილის აზრით ასევე დამახინჯებულია სინამდვილე პროლეტარული მსოფლმხედველობის გაშუქების დროსაც. ავტორი გვამშვიდებს: „უკლასო მწერლები კი სწორედ ასახავენ სინამდვილეს“, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ნაგულისხმევია სოციალიზმის და კომუნიზმის ეპოქის მწერლობა. **პროლეტარიატი და მისი მსოფლმხედველობა კი თურმე სწორედ ვერ ასახავს სინამდვილეს, ამახინჯებს მას.** აქ ადგილი აქვს შემეცნების პრობლემის სრულ გაუგებრობას, მუშათა კლასის ისტორიულ უპირატესობის და თავისებურებათა სრულ იგნორაციას, პროლეტარულ მსოფლმხედველობაზე აშკარა ცილისწამებას.

როგორ სწყვეტს ავტორი ფორმისა და შინაარსის პრობლემას ლიტერატურაში. იგი უარყოფს როგორც ფორმის, ისე შინაარსის პრიმატს. ფორმის პრიმატის წინააღმდეგ სწერს: „ამბობენ პოეტური ნაწარმოები იგივეა რაც მუსიკალურიო. ამ უკანასკნელშიკი შინაარსი თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს. მუსიკა მხოლოდ ატკბობს მსმენელს“. ფორმალისტებთან კამათში ავტორმა ასე შეაფასა მუსიკა მხატვრულ იდეოლოგიის, ხელოვნების ეს ერთად-ერთი სახეობათაგანი.

„აქ კი უნდა ვსთქვათ, რომ როგორც ფორმა, აგრეთვე შინაარსი ურთმანეთოდ არ ვარგა“. „ამიტომ მწერლობაში ამ ორივეს ყოველთვის თანაბარი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

„ცხოვრების გამოხატვა **კი თანაბარად** ხდება, ლიტერატურული ნაწარმოების როგორც **შინაარსის** აგრეთვე ფორმის საშუალებით“. აქ კომენტარიები უკვე ზედმეტია. აქ ფორმა და შინაარსი ერთმანეთს ეთიშება. მათ თანაბარი მნიშვნელობა ეძლევა. იდეალიზმი და მეტაფიზიკა აქ ხელშეუხებლადაა დაცული“.

ბეგიაშვილი ეპიგონურად იმეორებს პლეხანოვის ცნობილ აზრს ფორმასა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ კლასის აღმავლობისა და დაცემულობის პერიოდში. მაგრამ აი როგორ ვულგარულად განმარტავს მას: „რევოლიუციონურ პერიოდში ლიტერატურაში შინაარსი სჭარბობს ფორმას. აქ სრულიად ახალი შინაარსის გამოხატვა ძალა უნებურად ისევე ძველი ფორმების საშუალებით ხდება“.

გამოდის, რომ ჩვენს ეპოქაში ლიტერატურაში ისევე ძველი ფორმები უნდა ბატონობდეს. ასევე ესმის ბეგიაშვილს რევოლიუციონური ეპოქის მწერლობის კერძოდ პროლეტარული მწერლობის ღირებულება და მიღწევები.

ბეგიაშვილი იზიარებს ლიტერატურის განვითარების ევოლიოციონურ თეორიას, ფორმათა განვითარების იმამენტურ „ფილოსოფიას“. მაგრამ როგორც ეკლექტიკოსს **ეს საკმარისად** არ მიაჩნია და ლიტერატურული კრიტიკის და ისტორიის ამოცანად სახავს ნაწარმოების, როგორც „ესთეტიურ“, ისე „ისტორიულ სოციალურ“ შეფასებას.

აღარ გავაგრძელებთ ბეგიაშვილის „მეთოდოლოგიურ შეხედულებათა“ კრიტიკას. ვფიქრობთ აღნიშნულიდანაც ნათლად სჩანს, თუ რა მეცნიერული სიღრმის და კვალიფიკაციის აზრები ვრცელდება მისი ნაწარმოების სახით.

არ არის საჭირო გავარკვიოთ თუ როგორ აფასებს ამა თუ იმ ლიტერატურულ სკოლას, მიმართულებას და ცალკეულ მწერალს. ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად ყალბი ანალიზი და შეფასება შეიძლება აღმოცენდეს ასეთ „მეთოდოლოგიის საფუძველზე“.

მაინც სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამოდენიმე ამონაწერი, როგორ განსაზღვრავს ავტორი რომანტიზმს. „რომანტიზმი **ფსიქოლოგიური მოვლენაა,** რომელიც გამოწვეულია **შინაგანი გრძნობების** დაუკმაყოფილებლობით“.

„რომანტიკოსი პოეტი თავის შინაგან ქვეყნიერებას მაღლა აყენებს ვიდრე გარეშეს. **ეს უკანასკნელი მას არც კი აინტერესებს“.** ახასიათებს რა ბაირონიზმს, როგორც რომანტიზმის უკიდურესობას, ასკვნის: „მართლაც, ბაირონისტული ტიპები **დემონიური ბუნების ხალხია“.** ასევე კურიოზულად განმარტავს [illegible] მიმდინარეობებსაც. ფუტურიზმის განმარტება კი „ეძნელება“, რადგან მისი აზრით „უნდა ითქვას, რომ ფუტურიზმი **ჯერ** სავსებით ჩამოყალიბებული მიმართულება არ არის“. ცოტა ქვევით ავტორი ბოდიშს იხდის, რომ არ განმარტა **აკმეიზმი და იმაჟენიზმი,** მაგრამ გასამართლებელი საბუთიც მოეპოვება: „ბევრი მათგანი **ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია და მათზე ლაპარაკი ძნელია“.** ამრიგად ავტორი გულხელდაკრეფილი უცდის, თუ როდის ჩამოყალიბდება ფუტურიზმი, აკმეიზმი და იმაჟენიზმი, რათა მათაც მისცეს მისთვის ჩვეული „განმარტება“.

ასეთი კურიოზებით სავსეა ბეგიაშვილის ყველა „ნაშრომები“, ახლად გამოსული მისი დიდტანიანი წიგნი, „ქართული სიტყვიერების ისტორია“ პირველსავე გვერდზე გვამცნობს: „ეკონომიური ურთიერთობა, საზოგადოების სამეურნეო აღნაგობა ის საძირკველია, რომელზედაც შენდება **ათასგვარი ზედნაშენი“.** საიდან იანგარიშა ეს **ათასგვარი** გამოურკვეველია.

ამ წიგნის მეცნიერული კვალიფიკაციის—საერთო კონცეპციის და სტილის დასახასიათებლად მოვიყვანოთ სანიმუშო ამონაწერი. ამ მაგალითიდან: „იოსებ თბილელის კალამს ეკუთვნის ისტორიული პოემა **„დიდმოურავიანი“.** ლიტერატურული **ღირსებით და პოეტური ამაფრენით მაინც და მაინც დიდს არაფერს წარმოადგენს. მაგრამ ლიტერატურის ისტორიაში მას ღირსეული ადგილი ეთმობა.** იმიტომ, რომ დაწერილია იგი ისტორიული რეალიზმის ჟანრით და მაჩვენებელია იმისა, რომ ისტორიული რეალიზმი არჩილის მიერ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილი განმტკიცდა, მძლავრ მიმართულებათ იქცა და მრავალი პოეტის **ჩანგი თავის სიმებზე აჟღერა“.** ამ „კლასიკურ“ ფორმულაში მოცემულია ავტორის როგორც სტილი და გემოვნება ისე მისი გაგება ჟანრებისა და მიმართულებებისა, მისი კრიტერიუმი ლიტ-ნაწარმოების შეფასებაში და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ ბეგიაშვილი არ წარმოადგენს რაიმე გარკვეულ მსოფლმხედველობის მწერალს. მასში უსისტემოდ, ეკლექტიურად არეულია ყველა რეაქციულ ლიტერატურული თეორიები. იგი იჩენს სა უცოდინარობას და უმეცრებას ლიტერა რის თეორიის და მეთოდოლოგიის საკით ში და რაც უმთავრესია ეს უპრინციპო ლექტიზმი და უმეცრება ხშირად ცდი ამოეფაროს მარქსისტულ ფრაზას და შ ფრალოს თავისი რეაქციური ვულგარულ პუნება.

ჩვენმა მარქსისტულმა კრიტიკამ ჩაიდინა დიდი დანაშაული ასეთი „თეორიების“ გამომჟღავნების დაგვიანების სახით.

„სალიტერატურო გაზეთ“-ის ბრიგადა:
დ. ბენაშვილი.
გ. ნატროშვილი
ვას. ელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად გამოვასწოროთ შეცდომები

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილებიდან

1. ბიუროს კომფრაქცია აღნიშნავს, რომ საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობამ სამი წლის განმავლობაში სათანადო ბრძოლა ვერ აწარმოვა სოციალ - ფედერალიზმის ნაშთების წინააღმდეგ (ამხ. ს. ხუნდაძე, ამხ. ს. ამაღლობელი, მოქ. თავზარაშვილი და სხვ.); 1) მიუხედავად იმისა, რომ 1931 წელში მთელი რიგი წერილები გამოქვეყნდა პრესაში ს. ხუნდაძის ფედერალიზმის რეციდივების შესახებ, ასოციაციის ხელმძღვანელობამ მტკიცედ ვერ დასვა საკითხი ამხ. ხუნდაძის ფედერალისტურ შეცდომათა სისტემის მხილებისათვის; 2) განსაკუთრებით აღინიშნოს რომ ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვერ მიაქცია ყურადღება მოქ. გ. **თავზარაშვილის** ფედერალისტურ საქმიანობას რამოდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის პრესაში (ენციკლოპედიები, „ზემლია სოვეტსკაია", „ვოკსი" და სხვ.); 3) აღინიშნოს, რომ ამხ. ბ. **ბუაჩიძე** დღემდის არ გამოსულა ყველა თავისი შეცდომების გაშლილი თვითკრიტიკით. ამხ. ბ. ბუაჩიძე თავისი ფედერალისტური რეციდივებით ობიექტიურად ხელს უწყობდა ამხ. ს. ხუნდაძეს; წინადადება მიეცეს ამხ. ბუაჩიძეს გამოვიდეს ყველა თავისი შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკით; 4) აღინიშნოს, რომ ძველი პარტიული ხელმძღვანელობა ამხ. **მამულიასა** და სხვ. მეთაურობით აშკარა ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა და კიდეც მფარველობდა ფედერალისტურ რეციდივებს (ამხ. ხუნდაძე, ამხ. ბ. ბუაჩიძე და მოქ. თავზარაშვილი).

2) წინადადება მიეცეს ამხ. პ. **ქიქოძეს** გამოვიდეს ყველა თავისი შეცდომების გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკით, რაც დღემდე არ ჩაუტარებია მას ქართულ პრესაში.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის
პ.-მგ. მდივანი—შ. **რადიანი.**

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოათავსოთ ჩემი შემდეგი განცხადება: ამხ. ფილიპე მახარაძემ „კომუნისტი"-ს № 248-ში გააკრიტიკა ჩემი ზოგიერთი სოც.-ფედერალისტური ხასიათის შეცდომები წარსული საუკუნის 60-იან წლების მოღვაწეთა და კერძოდ ილია ჭავჭავაძის შესახებ. 1932 წ. 1 იანვარს საქ. პრ. მწერ. ასოციაციის მე-7 პლენუმზე ჩემს მიერ გაკეთებულ მოხსენებაში მე განსაკუთრებით ხაზი გაუსვი ამხ. ფილიპეს კრიტიკის დადებით მნიშვნელობას და განვაცხადე, რომ მე ამ კრიტიკას ვღებულობ, რაც იმავე პლენუმზე ფაქტიურად დავამტკიცე იმითაც, რომ გავაკრიტიკე ჩემი შემცდარი დებულებანი.

მე კიდევ ერთხელ აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ვემიჯნები იმ ჩემს შეცდომებს, რომელზედაც ამხ. ფილიპემ მიუთითა. მე არამც თუ სავსებით ვღებულობ იმ ჩემი დებულების კრიტიკას, რომელიც ეგნატე ნინოშვილის, ილია ჭავჭავაძის ღირსეულ მემკვიდრეთ მიჩნევაში გამოიხატება, არამედ სრულიად ვუერთდები ამხ. ფილიპეს გულისწყრომას იმ ბუაჩიძის წინააღმდეგ, რომელმაც დასწერა ეს 1925 წელს და დღემდე არ გაასწორა. ამ შემთხვევაში მე წავედი, რა ცალმხრივი მხატვრული შედარების ხაზით, ლენინური დებულება წარსულის კულტურის მემკვიდრეობის შესახებ გამოვთქვი უხეშად, მოუქნელად და, მაშასადამე, არა სწორადაც შეცდომით შევადარე ერთმანეთს ილია და ეგნატე. ამიტომ სავსებით ვღებულობ ამხ. ფილიპეს სამართლიან კრიტიკას იმის შესახებ, რომ მე გავიმეორე ფედერალისტური დებულება 60-იან წლების მოღვაწეთა შეფასებაში. (აქ შედის ილია ჭავჭავაძეც) მე შევცდი იმაში, რომ ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწეთა პროგრამა მივიჩნიე როგორც დაყრდნობილი რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეებზე.

უეჭველად შემცდარია ამ ციტატის ის დებულება, სადაც მე ვსამ თითქმის იგივეობის ნიშანს რუსეთის სამოციანი წლების მოწინავე ინტელიგენციის და ჩვენს სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის.

მე დაუშვებლად ვივიწყებ იმ გარემოებას, რომ ჩვენი სამოციანი წლების მოღვაწენი მაინც [illegible] ცალმხრივი ანარეკლი იყვნენ რუსეთის მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციისა.

მართალია ამხ. ფილიპე მახარაძე, როდესაც ამბობს, რომ ჩვენი სამოციანი წლების ინტელიგენცია რუსეთში ფორმალურად ითვისებდა მოწინავე იდეებს და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ეს იდეები ხუნდებოდა.

ამავე ამონაწერში ფედერალისტური ხასიათის შეცდომაა, რომ ვითომც მწერალთა ჯგუფი ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მეთაურობით იბრძოდა ბატონყმობისაგან ხალხის განმანთავისუფლებელ იდეებისათვის. აქ მე ხაზი უნდა გავუსვა იმისათვის, რომ აქ ჩვენ ბრძოლასთან, სოციალურ ჩაგვრის მოსპობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ ჩაგვრის „გაუმჯობესებასთან" უკეთესი ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ერთი მხრივ თავადურ ლიბერალიზმს თავადაზნაურობის გადარჩენის წყურვილი კვებავდა და მეორეს მხრივ „ჰუმანიურ" იდეებს ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები ედვა სარჩულად.

აუცილებელია სასტიკი ბრძოლა 60-იან წლების მოღვაწეთა არასწორ შეფასებასთან. ეს ბრძოლა აუცილებელია ამ საკითხში დაშვებულ ცალკე შეცდომებთანაც.

ილია ჭავჭავაძე არ იყო მებრძოლი ბატონყმობის წინააღმდეგ, არამედ ის იყო თავადაზნაურობის მოწინავე, ჭკვიანი წარმომადგენელი, ე. ი. ყველაზე ძლიერი და მძაფრი რეაქციონერი, რომელსაც თავისი მუშაობით მეტი სარგებლობა მოჰქონდა თავის კლასისათვის. ამაშია ილია ჭავჭავაძის თვითკრიტიკის აზრი საკუთარი კლასის მიმართ, რომელზედაც მე ვსწერდი იმ შემცდარ დებულებებთან ერთად, რომელთაც მე არავითარი შემთხვევაში არ ვამართლებ და ძირითადათ ეწინააღმდეგება ამხ. სიმონ ხუნდაძის დებულებებს, რაც არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ჩემი ხუნდაძესთან გათანაბრების საბაბს, თუმცა ჩემი ეს შეცდომები ობიექტურად ხელს უწყობდა ს. ხუნდაძის და სხ. ფედერალისტურ რეციდივებს.

მე საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის ხელმძღვანელობის და ჩემს შეცდომათ მიმაჩნია ის, რომ გასული წლის მეორე ნახევრამდე სასტიკი ბრძოლა არ გავშალეთ ხუნდაძის ფედერალისტურ შეხედულებების წინააღმდეგ და დაუშვებლად დავიგვიანეთ ამ საქმეში. ჩვენი დიდი შეცდომაა აგრეთვე ის, რომ არავითარ თვალყურს არ ვადევნებდით ენციკლოპედიებში ლიტერატურული თანამშრომლობის საქმეს, კერძოდ იქ გ. თავზარაშვილის მუშაობას.

მე ვთვლი ჩემს გამოსვლას კომაკადემიის უჯრედის პლენუმზე ამხ. ფილიპე მახარაძის წინააღმდეგ დაუშვებლად.

საქ. პროლეტმწერალთა ასოციაციის ბიუროს კომფრაქციის 5 თებერვლის დადგენილებას („კომუნისტი № 8 თებერვლის №-ში) ვთვლი ძირითადად სწორად.

ჩემს ბოლშევიკურ მოვალეობად მიმაჩნია სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გავატარო ის მემარჯვენე და „მემარცხენე" ხასიათის შეცდომები, რომლებიც მე მაქვს. კერძოდ ეს ითქმის ჩემს წიგნზე „Пути развития Грузинской литературы.

ეს შეცდომები სამართლიანად იქნა თავის დროზე ამხანაგების მიერ გაკრიტიკებული „კომუნისტში".

ბ. ბუაჩიძე

კომკავშირული ლიტერატურის

იდეური დონის ამაღლებისათვის

კომკავშირულ ლიტერატურის დათვალიერება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, არ უნდა ატარებდეს დროებით, კამპანიურ ხასიათს. კომკავშირულ ლიტერატურის სიძნელეებზე ბოლშევიკური მითითება, [illegible] [illegible] მას თავის განვითარების ახალ ეტაპზე.

ჩვენ არ გვაქვს საკუთარი „კომსომოლია", ჩვენ არ გვაქვს არც ერთი მხატვრულად და იდეოლოგიურად სრულყოფილი ლიტერატურული ნაწარმოები კომკავშირის ცხოვრების და გმირული ბრძოლების შესახებ. კომკავშირი დღემდე კიდევ არ სჩანს პროლეტარულ მწერლობაში.

კომკავშირის შესახებ ჩვენში მხოლოდ რამოდენიმე ნაწარმოები დაიწერა. მაგრამ ამ ნაწარმოებებშიაც მკვეთრად არ არის გამოხატული კომკავშირის ნამდვილი სახე, ზოგჯერ გაყალბებულია კომკავშირის მიერ ახალი ყოფის შექმნის გზა, „უშუალო შთაბეჭდილების" მიხედვით არის მოცემული, გარეგანი და არა დამახასიათებელი მომენტები, ამ მომენტების კომკავშირის ნამდვილ ცხოვრებასთან დაკავშირების გარეშე.

მხედველობაში გვაქვს ერთ-ერთი საუკეთესო პროლეტმწერალის ამხ. **კ. ლორთქიფანიძის** „პირველი დედა". ეს საერთოდ თვალსაჩინო ნაწარმოებია „პირველ დედა"-ში კომკავშირელ ქალ გაიანეს ირგვლივ ტრიალებს რომანის მთელი ღერძი და შინაარსი. გაიანეს ცხოვრების და მოქმედების ყოველ დეტალის ორგანიზაციაში მოყვანით, მთლიანდება არა მხოლოდ ტიპი, არამედ ვითარდება რომანის ფაბულაც. ამ შემთხვევაში რომანის ფაბულა დეტერმინიზაცია-ქმნილია ტიპის მხატვრული განვითარებით. სინამდვილეში ფაბულა უნდა იტევდეს მხატვრული ფაქტის ყველა ელემენტებს. ტიპის ფსიქოლოგიური სრულყოფა არის ფაბულის შემადგენელი ნაწილი და არა მისი წამმართავი ელემენტი. კომკავშირის ყოველმხრივ ჩვენებისათვის ჯერ საჭიროა სოციალ-ეკონომიურ მოვლენების მოხაზვა და აქედან ამა თუ იმ კომკავშირელის მოქმედების ბუნების გამოყვანა.

ტიპის წინა-სიბრტყეზე წამოყენება, ხოლო პოლიტიკურ მოვლენების ამ ტიპის ბუნებასთან დაქვემდებარება, ცხოვრების გარდაქმნა და შეცვლა ტიპის მხატვრული განვითარების მიხედვით, აუცილებლად უკარგავს მწერალს კომკავშირის ბოლშევიკურ ჩვენების გზას, პოლიტიკურ სიმახვილიდან აგდებს მას ნეიტრალობისა და ესთეტიზმის ჭაობში. ჩვენ არ ვთხოვთ კ. ლორთქიფანიძეს მოვლენათა მექანიკურ დაპირდაპირებას, მათი „კარგი"-ს და „ცუდი"-ს ასპექტში ჩვენებას. ასეთი მეთოდი ვულგარულია, რომელიც გულუბრყვილო რეალიზმისა და შეიძლება ემპირიზმიდან მომდინარეობს. კ. ლორთქიფანიძეს კომკავშირის ყოფის უარყოფითი მომენტები უნდა ეჩვენებია, როგორც გარდამავალი, დროებითი წინააღმდეგობა, ლენინურ კომკავშირის მიერ ახალ ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობის შექმნის გზაზე წამოჭრილი. მას უნდა ეჩვენებინა სინამდვილის განვითარების დიალექტიკა და არსებულში, მისი მომავალ განვითარების გზების განჭვრეტა. კ. ლორთქიფანიძე პირიქით, პასიურ ხედვითი საზომით ავიწროვებს, საგნებს, მოვლენებს, ვერ არკვევს მათ შორის მიზეზობრივ კავშირს და წინააღმდეგობათა ძირითადობას. „პირველი დედა" არ არის აგებული დიალექტიკურ მატერიალიზმის მეთოდზე.

მეორე უკვე საკმაოდ მომწიფებულმა პროლეტმწერალმა, ამხ. ალ. **მაშაშვილმა** „განგაშში" სცადა მოეხაზა კომკავშირის სახე, საკოლმეურნეო [illegible] მონაწილეობის [illegible] [illegible] მოწინავე კომკავშირელის [illegible] ავტორი. ა. მაშაშვილი არ გვიჩვენებს, თუ რა სოციალურმა მოვლენებმა გამოიწვიეს კომკავშირის უჯრედის მდივნის დაქანება ოპორტუნიზმისა და კულაკურ იდეოლოგიისაკენ. შეიძლება ა. მაშაშვილს უჯრედის მდივნის სახით გამოყვანილი ჰყავს კლასიური მტრის იდეური აგენტი. ამ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს, კომკავშირელების საყვედური, რომ იგი გადაგვარდა, გაოპორტუნისტდა და სხვ.

ა. მაშაშვილი მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს კულაკურ აგენტურის ნამდვილ სოციალურ ბუნებას როდესაც მწვავდება მდგომარეობა, საგრძნობი ხდება კოლექტივის რღვევის ნიშნები. ა. მაშაშვილი დიალექტიურად ვერ ამხელს კლასიური მტრის ბუნებას. ა. მაშაშვილმა გაართა კომკავშირელი, ვერ გამოუნახა ამ გარემოებას სათანადო სოციალური საფუძველი, ერთ პიროვნებაში შეაბრძოლა ორი ერთმანეთისადმი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ფსიქოლოგიური ტიპი და საბოლოოდ თვითმკვლელობით დაამთავრა საქმე. ჩვენ ხაზგასმით ვამბობთ, რომ კომკავშირის უჯრედის მდივნის თვითმკვლელობა არავითარ მოტივით არ არის გამართული.

ა. მაშაშვილის მიერ მოხაზულ კომკავშირის უჯრედის მდივნის პიროვნებაში, ორგანიულად არ იბრძოდა გაორების ეს პროცესი. პირიქით უჯრედის მდივანი, გარკვეულად ეხმარება კლასიურ მტერს, ყოველგვარ საშუალებით და ხერხით იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო - პოლიტიკურ ღონისძიებების წინააღმდეგ. უჯრედის მდივანი კლასიურ შეგნებით, მთლიანად კულაკურ პლატფორმაზე დგას, მხოლოდ შემთხვევით შექმნილი მდგომარეობა აკავშირებს მას კომკავშირთან. აი ფაქტებიც:

„**ხუშუტი** (ყოფ. აზნაური). აი ხომ ხედავ იწვის. (ლაპარაკის კოლექტივის კუთვნილ ბამბის დაწვაზე.) ცეცხლმა რევიზია გააკეთა და ბამბაც გაანაწილა.

სიმონ (კომკავშირელი) უჰ, უჰ გავიქცეთ.

ხუშტი: არიქა, არიქა, სიმონ ბიძია ვინ ჩაიდინა, ეს საქმე თუ იცი?

სიმონ. გარიმდი თოირემ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოკლე სცენა მეტად მკვეთრად და რეალისტიკურად ახასიათებს კომკავშირის უჯრედის მდივნის მისწრაფებებს და შეხედულებებს. ცხადია კომკავშირის უჯრედის მდივნის სახით ჩვენს წინაშე სდგას გარკვეული კლასიური მტერი, ხოლო კლასიური მტერი განა თვითმკვლელობით სტოვებს კლასთა ბრძოლის ასპარეზს? ა. მაშაშვილმა ვერ მოახერხა ამ რთულ პროცესის დიალექტიური ახსნა და კომკავშირის ორგანიზაციის დასრულებულ სურათის მიცემა. ა. მაშაშვილმა გაართა კომკავშირელის ტიპი.

მნიშვნელოვანია ამხ. კ. კალაძის პიესა „სახლი მტკვრის პირას". კომკავშირის მოცემა კომედიის ფორმებში —ასეთი [illegible] კ. კალაძის მიზანი. სამწუხაროდ [illegible] ჟანრმა დაიმორჩილა კომკავშირის კომედიამ, კომიკური სამოსელში გამოახვია კომკავშირელთა ცხოვრების და მოქმედების [illegible] კომკავშირის კ. კალაძის პიესაში, რბილად რომ ვთქვათ, მეოცნებე რომანტიკოსად გამოიყურება; განა კომკავშირი მხოლოდ კლასიური მტრის ფოტოგრაფიული სურათის გადაღებით არის გატაცებული? ან რით უნდა ავხსნათ, ასეთი მეგობრული „მამა-შვილური" დამოკიდებულება, კომკავშირელებსა და თავად-აზნაურულ საქართველოს უკანასკნელ მოგიკანებს შორის? ავიღოთ მაგ. „სახლი მტკვრის პირას"-ში გამოყვანილი ერთერთი მოწინავე, აქტიური კომკავშირელი სტუდენტი ქალი რომელნიც მთელი ღამე ჩასჩიჩინებს წიგნს, „მაგრამ ფიზიოლოგიის რამოდენიმე ცნების გარდა ვერ დაუზეპირებია" რატომ დასჭირდა კ. კალაძეს მოწინავე კომკავშირელის ასეთ მახინჯ ფსიქოლოგიურ ტიპად გამოყვანა. აქ ტიპის ფსიქოლოგიურ თვალსაზრისით გაუმართლებლობა იწვევს კომკავშირის სოციალურ ბუნების დამახინჯებასაც. ჩვენ არ ვამბობთ რომ კ. კალაძის მიერ მოხაზული ტიპი ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიურ თეორიის მიხედვითაა დაწერილი, მაგრამ ობიექტურად ასე გამოდის. მუშა კომკავშირელი სტუდენტები დღედაღამ მეცადინეობენ, მაგრამ ცოდნას ვერ ეუფლებიან „უნიჭობის" გამო. ეს უდაოდ შეცდომაა.

გაკვრით უნდა შევეხოთ, ახალგაზრდა პროლეტ-მწერლის **არ. ჩარიბაიას** „ენტუზიასტებს", მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ დამთავრებული არ არის, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამხ. პ. **ჩხიკვაძის** „სართულები"-ს და „ბუთხუზი"-ს შემდეგ, „ენტუზიასტები" საკმაოდ ძლიერი, საწარმოო ხასიათის რომანია. მაგრამ „ენტუზიასტებს" აქვს ბევრი ნაკლი. ამ ნაკლზე სისტემატიური ბოლშევიკური მითითება, არ. ჩარიბაიას გამოიყვანს ვულგარულ მექანისტიციზმიდან. რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს მის შემოქმედებას.

უნდა შევნიშნოთ ი. ჩარიბაიას წერის მანერაზედაც. ა. ჩარიბაიას წერის მანერა უპირისპირდება თხრობას, იგი სცდილობს ნაწყვეტ ნაწყვეტ სურათებით მოგვცეს მოქმედების სურათი. ა. ჩარიბაიას წყვეტილი სტილი, ადინამიურებს მოქმედებათა გაშლას და განვითარებას, მაგრამ იგი სუსტი და უფერულია. ამას უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება. „ენტუზიასტები" გადამწყვეტ მომენტში ვითარდება ერთგვარ ნახტომებრივი, არა დიალექტიური გზით.

საჭიროა ენერგიული მუშაობა გავშალოთ კომკავშირული ლიტერატურის იდეური დონის ამაღლებისათვის.

ბ. ლოტიძე

საქკინმრეწვში დისკუსია დაიწყო

საქართველოს რევ. კინემატოგრაფიის მუშაკთა ასოციაცია, და საქკინმრეწვის სამხატვრო-სასცენარო გან-ბა შეუდგა შემოქმედებითი დისკუსიის ჩატარებას. პირველი დისკუსია გაიმართა 28 იანვარს, სცენარისტის ამხ. **გიორგი მდივნის** შემოქმედების გარშემო.

შესავალ სიტყვაში ამხ. **ლ.** ესაკია შეეხო მდგომარეობას კინო-ფრონტზე ამხ. სტალინის ისტორიულ წერილთან დაკავშირებით. ამხ. სტალინის ცნობილი წერილი —„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთ საკითხებზე"—უნდა გახდეს სახელმძღვანელოდ ხელოვნების ყველა დარგისათვის, კერძოდ კინოსათვის, სადაც ადგილი აქვს ტროცკისტულ დომხალის გაპარებას; საჭიროა მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ და ამგვარი ცდები დღის სინათლეზე გამოვიტანოთ და ჩანასახშივე ჩავკლათ.

ვრცელი მოხსენებით თავის მუშაობის შესახებ გამოვიდა ამხ. **მდივანი.**

კამათში გამოვიდნენ ამხ. შ. დუდუჩავა, დ. რონდელი, პერელმანი, ლ. ესაკია, შ. ალხაზიშვილი და სხვები.

საბჭ. მწერლების ფედერაციაში

მწერლების მონაწილეობა 25 თებერვლის დღესასწაულში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 11 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულში მწერალთა ორგანიზაციულად მონაწილეობის მიზნით, საბჭოთა მწერლების ფედერაციის სამდივნომ გამოყო ცალკე კომის., კომის. შედ.: ამხ. **შ. რადიანი** (თავმჯდომარე), **პან. ჩხიკვაძე, ნ. ზომლეთელი, დ. სულიაშვილი, ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, ტ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე.**

კომისიას დაევალა შეიმუშაოს დღესასწაულში მწერალთა მონაწილეობის კონკრეტული გეგმა.

გამომცემლობა „ფედერაცია"

საბჭოთა მწერლების ფედერაციის სამდივნოს დადგენილებით გამომცემლობა „ფედერაცია"-ს დირექტორათ დაინიშნა ამხ. **ი. ლისაშვილი**, სარედაქციო ნაწილის გამგეთ ამხ. **ნ. მიწიშვილი.**

ახალი წევრები

საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრებად მიღებულნი იქნენ ამხ. **შ. ბუაჩიძე**, და **მ. მიქელაძე.**

შ. მღვიმელის 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო

საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გადასწყვიტა განათლების სახ. კომისარიატთან ერთად ახლო ხანში გაიმართოს სამწერლო ასპარეზზე შ. მღვიმელის 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო-იუბილე.

ანასტასია წერეთელი

7 თებერვალს, ტფილისში გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე და მწერალი ქალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა დაიბადა 1850 წელს. სწავლობდა მაშინდელ საქალებო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1865 წელს, მაგრამ ეს სასწავლებელი მაინცდამაინც დიდ ცოდნას ვერ იძლეოდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის ეწაფება შინაურ განათლებას თავისი უფროსი დის ხელმძღვანელობით. დისა და მამის სიკვდილის შემდეგ ის მიდის საზღვარგარეთ უმაღლესი ცოდნის მისაღებად, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო მალე ბრუნდება.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ იწყებს თანამშრომლობას გაზ. „დროებაში", სადაც უმთავრესად ათავსებს თარგმანებს უცხოეთის ლიტერატურიდან. 1884 წელს ანასტასია წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით აარსებს ხელთუბნის სკოლას. 1886 წელს აარსებს მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებას, მაგრამ უმთავრესი მისი მოღვაწეობა იწყება 1890 წ.—ჟურ. „ჯეჯილის" დაარსებიდან, რომლის ხელმძღვანელი და დაუღალავი თანამშრომელიც იყო თვითონ. ამავე ხანებში ის გაჰყვა ცოლად გიორგი წერეთელს.

1910 წელს გადახდილ იქნა ჟურ. „ჯეჯილის" იუბილე, რაც იმავე დროს წარმოადგენდა ანასტასიას იუბილეს.

ანასტასია წერეთლისა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც განაგრძობდა თავის ჟურნალის გამოცემას და შრომას საბავშო ლიტერატურის დარგში, მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ღრმა მოხუცებულებამ და მძიმე ავადმყოფობამ ჩამოაშორა ის თავის საყვარელ საქმეს.

ანასტასია წერეთლისა ღებულობდა პერსონალურ პენსიას და იმყოფებოდა სახელმწიფო კმაყოფაზე.

განსვენებული დაკრძალულ იქნა მთაწმინდის პანთეონში, 11 თებერვალს.

გარდავქმნათ სამკითხველო-ბიბლიოთეკების მუშაობა

მოვაწყოთ პროლეტმკითხველთა წრეები

(ახალი სენაკი)

პროლეტარული ლიტერატურის ლენინური ეტაპი მოითხოვს პროლეტმწერალთა ასოციაციის მუშაობის გარდაქმნას. ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც დღემდე თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, არის — პროლეტმკითხველთა წრეების მოწყობის საკითხი.

საქმე იმაშია, რომ მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული უპარტიო და კომკავშირული ახალგაზრდობა ძალიან ხშირად ექცევა რეაქციონერ ლიტერატორთა გავლენის ქვეშ, იკვებება გრიშაშვილის ფუქსავატური ლექსებით, ჯავახიშვილის „მუსუსი"-თ, „გივი შადური"-თ და სხვა მსგავსი ნაწარმოებებით.

ამას ზედ ერთვის ის გარემოებაც, რომ ჩვენი სამკითხველოები და ქოხ - სამკითხველოები სოფლად არ არის მომარაგებული პროლეტმწერალთა წიგნებით და თვით სამკითხველოს ხელმძღვანელი ამხანაგები ნაკლებ ზრუნავენ მკითხველისათვის შესაფერ ლიტერატურის შერჩევაზე, მიწოდებაზე.

პროლეტ-მკითხველთა წრეების მოწყობას და ფართოდ გაშლას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. მათ უნდა გააერთიანონ მთელი მკითხველი მასსა სოფლად და ქალაქად, ხელი შეუწყონ ჩვენი სამკითხველოების მუშაობის გარდაქმნას, პროლეტარული, კოლმეურნე და გლეხური ახალგაზრდობა სრულიად გაანთავისუფლონ რეაქციონერ მწერალთა გავლენისაგან, მიაწოდონ მას პროლეტარული და ჭეშმარიტი საბჭოთა ლიტერატურა.

დროა ეს საკითხი მკვეთრად დაისვას და პროლეტმკითხველთა წრეების ფართოდ გაშლას და მათზე ხელმძღვანელობას პროლეტ-მწერალთა ასოციაციამ ეხლავე მოჰკიდოს ხელი.

ნოე ჯიბლაძე.

მეტი ყურადღება ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს

(ზუგდიდი)

გასულ წლამდე ზუგდიდის რაიონში, როგორც ქალაქად ისე სოფლად, ბიბლიოთეკა - სამკითხველოების მუშაობა ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ წელს ამ დარგში მდგომარეობა გაცილებით ცუდია.

თუ ქალაქ ზუგდიდში გასულ წელს მუშაობდა ოთხი თუ ხუთი ბიბლიოთეკა-სამკითხველო წელს აღარც ერთი არ მუშაობს. თვით ზუგდიდის სამკითხველო ერთი წელია დაკეტილია „უბინაობის გამო.

სოფლად უარესი მდგომარეობაა. სოფლის სამკითხველოების მუშაობა უმეტეს შემთხვევაში არ სდგას სათანადო დონეზე.

მათ არ გააჩნიათ ისეთი წიგნები, რომელთა მიწოდება შეიძლებოდეს კოლმეურნე და გლეხ ახალგაზრდობისათვის. სამაგიეროთ სამკითხველოს აწვდიან სხვადასხვა უვარგის წიგნებს და ბროშურებს (მაგ. მიხ. ჯავახიშვილის „ოქროს ქალი"-გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი", გრიშაშვილის „ექვსი ლექსი" და სხვ.).

ქ. - სამკითხველოების უმრავლესობა კი დაკეტილია მთელი წლის და თვეების განმავლობაში. მათში არ სწარმოებს არავითარი კულტურული მუშაობა.

დროა ზუგდიდის რაიონში, როგორც ქალაქად ის სოფლად, ბიბლიოთეკა - სამკითხველოების მუშაობა დადგეს სათანადო დონეზე.

პ. ზ.

ოსეთის სახელმწიფო თეატრი

1931 წლის 1 სექტემბრიდან მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ოსურ სახელმწიფო თეატრის არსებობას.

ჯერ კიდევ აპრილის თვეში ტფილისში ამხ. გ. **ბუხნიკაშვილმა, თათარხან კოკოითის** ხელმძღვანელობით მოაწყო საკოლმეურნეო თეატრი, რომლის პირველმა საჩვენებელმა წარმოდგენამ ყველასათვის ნათელი გახადა ოსი მსახიობის კულტურული ზრდა.

ამ თეატრს, რომელიც სამხრეთ ოსეთში გაემგზავრა აგიტ-კულტურულ მუშაობის ჩასატარებლად, მძიმე და არა ხელსაყრელ პირობებში მოუხდა მუშაობა. მიუხედავად ამისა, მან მუშაობა ღირსეულად და ბრწყინვალედ დაასრულა.

ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთის პარტკომმა ეს დასი მოიწვია სტალინისის სახელმწიფო თეატრში და იქ მუდმივ სამუშაოდ დასტოვა.

ცენტრიდან 50.000 მანეთის მიღების უმალ გაიჩაღა მუშაობა. მოწვეულ იქნა რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი, დაიწყო სამზადისი და მოკლე ხანში დაიდგა წარმოდგენა, რომელიც სამხრეთ - ოსეთის პრესამ კმაყოფილებით აღნიშნა.

ამ დღიდან ყველა დარწმუნდა, რომ უკვე დაიბადა ოსური პროფესიონალური თეატრი. თეატრს ხალხი მიეჩვია, მსახიობთა კულტურულმა დონემ იმატა, ახალ-ახალმა დადგმებმა, დეკორაციებმა, მუსიკამ კიდევ უფრო მიიზიდა მაყურებელი, მაგრამ...

თეატრი ამჟამად დაშლის პირზე მიმდგარი. მსახიობებს სრულიად მცირე ჯამაგირი აქვთ, რასაც ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

სამხრეთ - ოსეთის ცაკმა თეატრის ბიუჯეტის ხარჯებისათვის გადასდო მხოლოდ 3.000 მანეთი.

ეს კიდევ არაფერი, ამ ცოტახნის წინათ სამხრეთ - ოსეთის ცაკმა დაადგინა მსახიობებს მოეხსნათ ჯამაგირი და მათ იმუშაონ საზოგადოებრივი დატვირთვის წესით, მაშინ, როდესაც თეატრში ყოველდღიურად მიდის წარმოდგენები.

ცხადია, ასეთი დამოკიდებულება პირველ ოსურ პროფესიონალურ თეატრის არსებობას საფრთხეს უქმნის.

საჭიროა სამხრეთ - ოსეთის ცაკმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს და ის თანხა მაინც, რომელიც ამ მიზნით საქართველოს მთავრობიდან იქნა მიღებული, მიახმაროს ახლად ჩამოყალიბებული თეატრის გადიდებელ მოთხოვნილებებს.

ჯანი.

დრამკომში

დრამკომის ახალ გამგეობაში არჩეულნი არიან შემდეგი ამხ. **გ. ბუხნიკაშვილი, ალიო მაშაშვილი, კაულონ, პ. ჩხიკვაძე, პ. ხაბზინიძე, გუგუნავა, გრ. კოკელაძე; გოკიელი; აკ. ფალავა; ბეს. ჟღენტი; მარიჯანი; მდივანი;** კანდიდატებათ: **თვარაძე, პერელმანი, გ. რაზმაძე.**

სარევიზიო კომისიაში: [illegible], **ს. გრთაწმინდელი, ი. ვაკელი;** კანდიდატათ: **მაკაროვი.**

მწერალთა კლუბში

— 15 თებერვალს — კომპოზიტორთა საღამოს — ახალ ნაწარმოებთა განხილვა.

— 17 თებერვალს—პ. ქიქოძის მოხსენება: „დრამატურგის შემოქმედებითი საკითხები".

— 20 თებერვალს — გ. ნატროშვილის მოხსენება: „შემოქმედებითი მეთოდის შესახებ".

სარედაქციო კოლეგია
რ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), შ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი; შ. რადიანი, ბ. ჟღენტ
პ. ჩხიკვაძე, ლ. ქიაჩელი.

რედაქცია მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი 1-65.
გამომცემელი სახგამომცემლობა

ტირაჟი 4.000.
სტამბა გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი 368